# საქართველო

ᲗᲔᲚᲘᲜᲐᲓᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 10 ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲝᲒᲘᲡᲗᲕᲔ 1919 Წ. № 170

ᲤᲐᲡᲘ 3 ᲛᲐᲜ.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲦᲘᲠᲔᲑᲐ 180 ᲛᲐᲜ. ᲗᲕᲔᲨᲘ (ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ) 60 ᲛᲐᲜ. ᲪᲐᲚᲙᲔ № 3 ᲛᲐᲜ. ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ ᲞᲘᲢᲘᲢᲘᲡᲐ— 2 Მ. 50 Კ. ᲮᲘᲡᲘᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ 3 Მ. ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲗᲘᲗᲝᲯᲔᲠ 60 Მ. ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ-ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐ 10 Მ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲦᲘᲐᲗ ᲓᲘᲚᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗ. ᲜᲐᲨ. 3 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 3, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲕᲐᲡᲚᲐ; ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲧᲣᲗᲘ № 76; ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:—ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 15—73.



ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ!..

## მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის

ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ!..

ᲓᲐᲬᲔᲤᲘᲚᲘ

# არაყი, კონიაკი და კახური ღვინო

## ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედროობით“ და „ბოჭკოობით“ ხელმისაწვდენ ფასებში) ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲕᲐᲒᲖᲚᲘᲡ Ქ., 6. ᲢᲔᲚᲔᲤ. 25—86 25—86—10



გულდამწვარნი ქვრივი თალიკო, შვილები: გიორგი და მანია, ქვისალი თომა გოდერძიშვილი ცოლათ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ, რომ 8 მარიამობისთვეს ხან მოკლე და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარე და საყვარელი

### მიხეილ ესტატეს ძე თაყაიშვილი

გამოსვენება მიცვალებულისა მოხდება კვირას, 10 მარიამობისთვის დილის 10 საათზე, საკუთარ ბინიდან, ვარდისუბნის ქუჩა № 1 ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, დასაფლავება კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 1—2580—1



ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

### ᲐᲚ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

1) მიწად-მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადოდ და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს სააგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საეფლისწულო და ხიზნების მფლ. 5) კერძო მიწად-მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა. 10 ნ—10



ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲘᲓᲐ

### ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ: ᲓᲐᲘᲡᲔᲒᲘ

გამოცემა „კირჩხიბის“, ფასი 25 მაწეთი.



### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲙᲝᲚᲘᲯᲔᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲒᲐᲓᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲓᲐᲜ

იღებს თხოვნებს ელექტრო-მექანიურ და საამშენებლო განყოფილებებზე; პირველ განყოფილებაზე შემდეგი სპეციალური დარგები იქნება: სარკინიგზო, მექანიური და ელექტრო-ტეხნიკური; მეორეზე გზათა საამშენებლო, სახელროთ-მოძღვრო და ჰიდრო-ტეხნიკური. სასწავლებელში შესვლისათვის საჭიროა ოთხი კლასის მოწმობა, მისამართი: თბილისი, დიდიმთავრის ქუჩა, № 70. 1—2579—1



## ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝᲓ.

დამფუძნებელმა კრებამ მიმდინარე წლის 18 მკათათვეს მიიღო დეკრეტი, რომლის ძალითაც სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკრედიტო დაწესებულებანი და აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნები და საერთოდ დამკირავებელნი ვალდებულნი არიან ამ კანონის გამოქვეყნების დღიდან თავიანთ ოსამსახურეებს ჯამაგირის პირველ დარიგებისთანავე ერთბაშათ დაუპირონ ქალაქის თვითმართველობის სასარგებლოდ ერთდროული სანიტარული გადასახადი. ამიტომ ყველა ზემოაღნიშნული დაწესებულებანი მოვალენი არიან მიმდინარე აგვისტოს ხვედრი ჯამაგირიდან თავიანთ მოსამსახურეთ დაუპირონ ქალაქის სასარგებლოთ გადასახადი და წარმოადგინონ ქალაქის კასაში.

საჭირო ბლანკების მიღება შეიძლება:

1. ქალაქის გამგეობაში (გადასახადთა ბიუროში).
2. ყველა კომისარიატებში.
3. ხაოჯთ ამკრეფ ბიუროს აგენტების კანტორებში, რომელნიც იმყოფებიან:

1 უბნისა. ვერის დიმართზე, მოედანზე, (სადაც ხორცის დუქნები იყო).
2—3 უბნის. ბაზრისა და გრაფის ქუჩების კუთხეში № 2
4—5 უბნის. თათრის მოედანზე (სასწორის თავზე).
6—7 უბნის. კახეთის მოედანზე, ნუნუბაროვის ბაზარში.
8—9 უბნის. ელისაბედის ქ. № 10,
10—12 უბნის. ჩერქეზიშვილის ქ. № 87.
11 უბნის ხუდადოვის ქ. 75, ჩარკვიანის სახლი. 3—154—3



ᲡᲐᲛᲘᲗᲮᲝ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲢᲐᲛᲞᲐ

## ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ

### ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ

სტამბის ხელობის კარგად მცოდნე პირს. ასოთ-აწყობის ცოდნა სავალდებულოა; სამსახური სახელმწიფოა; თვიური ჯამაგირი 1800 მან. ჯარის-კაცის ულუფა და უფასო ორი ოთახის ბინით.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3. 7—13—5


## ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

საბელმწიფოებრივი პოლიტიკის პერსპექტივა აკლიათ ამიერ-კავკასიის ხალხებს. ირაციონალური ელემენტი უფრო განაგებს ამ ხალხების პოლიტიკას, ვიდრე რაციონალური და მიზან-შეწონილი შეგნება და ინტერესი. აქამდის ვერ მოეწყო ლოიალური შეკავშირება და გაერთიანება ყველასათვის ერთნაირად მნიშვნელოვან, ერთნაირად კარდინალურ საკითხის გარშემო. დამოუკიდებლობის დაცვა, რუსეთისგან საბოლოოდ ჩამოშორება,—აი ის ძირითადი და არსებითი საგანი რომელსაც ცალ-ცალკე ამიერ-კავკასიის ყოველი რესპუბლიკა და მთა თავის მოქმედების მიზნად ისახავს. ამ საგნის გარშემო ამ წლი-ნახევრის განმავლობაში უნდა შემხდარიყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ყველა ცოცხალი ძალის შემტკიცება. სამხედრო ძალების გაერთიანება ერთ საერთო გეგმისა და ხელმძღვანელობის ქვეშ და ერთი საგარეო პოლიტიკის წარმოება უძლიერესი ფაქტორი იქნებოდა ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

კავკასია—ერთი გეოგრაფიული ფიზიკური ერთეული—უნდა გამხდარიყო ერთ სამხედრო ერთეულად ყველასი და თითოეულის დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით.

ჩვენი სისუსტე იმაშია, რომ ეს დღემდე ვერ განვახორციელეთ; ამის განუხორციელებაში კი საურთიერთო განეთქილების შესაძლოებას ძალიან ფართო ფარგლებს უტოვებს. შეიძლება, ერთი პირის უქონლობამ სულაც იმსხვერპლოს ჩვენი დამოუკიდებლობა. ყველაზედ ნაკლები შეცდომა საყვედური სქართველოს ხვდება ამ მიზნის მიუღწევლობისათვის, ყველაზე მეტი—სომხეთს. სომხეთი თვითონვე გაურბოდა საერთო ფერხულში ჩაბმას, სხვისით დაიმედებული. ჩრდილოეთის საფრთხე რომ დაგუიდგა და დენიკინის შემოსევა რომ მოგველოდა, სომხეთი განზე გადგა და ჩვენთან კავშირზე უარი თქვა. ეხლა მას დაუდგა პირადი განსაცდელი და თვით ალაპარაკდა კიდევაც ამიერ-კავკასიის კონფერენციის განახლებასა და საერთო ზომების მიღების საჭიროებაზედ. რასაც სომხობა პოლიტიკურის სიბეცით, თუ სხვა მიზეზით ვერ მიხვდა, მას დღეს იგი სომხობა მიახვედრა ფიზიკური გადაგვარების და სახელმწიფოებრივი კატასტროფის უშუალმა შიშმა. ძნელი არ იყო იმის დანახვა, რომ როგორც სამხრეთის, ისე ჩრდილოეთის საფრთხისაგან ჩვენ გვიხსნიდა უმთავრესად ჩვენი საჰხედრო ძალების გაერთიანება და ერძოთ საერთო პოლიტიკა ურთიერთის დამოუკიდებლობის დასაცავად. თუ დღეს სომხობა ლოიალურად მივიდა ამ შეგნებამდე, მის თავზედ დატეხილ უბედურების შემდეგ, სასიამოვნო აღსანიშნავია. საქართველო ყოველთვის თანაგრძნობით ეეგებება როგორც საერთო მტრის წინააღმდეგ ძალთა გაერთიანების წინადადებას, აგრეთვე ერთმანეთში კეთილმეზობლობის და სიმშვიდის დამყარების სურვილს. მაგრამ კავშირისა და შეთანხმების დასადებად ერთი რამ აუცილებელია. სომხეთის ხელმძღვანელებმა ხელი უნდა აიღონ საერთოდ ავანტურისტულ პოლიტიკაზე და კერძოდ იმ ტერიტორიულ პრეტენზიებზე, რომელსაც საქართველოს მიმართ აცხადებენ. ყველაზედ მოუსვენარი, ყველაზედ განზე გამწევი და ყველაზედ უფრო აღძრული საფუძვლო პრეტენზიებით მეზობლების მიმართ—სომხეთის ხელმძღვანელები არიან—ეს უნდა ითქვას გულახდილად ჩვენ გვგონია, სომხობამ საკმაო საგონებრივი გაკვეთილი მიიღო ამ მეთოდის უვარგისობისა, რომ დარწმუნებულიყო რომ ამ წესით მეზობლობა და მეზობლებთან საერთო ცხოვრება არ შეიძლება და რომ მეზობლების წინააღმეგ არც სომხეთის სახელმწიფოებრივი მოწყობა და არსებობა არის შესაძლებელი. თუ დღეს ამ შეგნებამ მართლა შეანათა სომხის ხალხის მესაჭეთა გონებაში, მეტად სასიხარულოდ დაგვირჩება. ახლო მომავალში ამაშიაც ფაქტიურად დავრწმუნდებით.

## ᲒᲐᲜᲬᲔᲕᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲐᲙᲔᲑᲘ

მენშევიკებმა ამ ბოლო დროს ძალიან გააფართოვეს თავის მონოპოლია. ქართულმა სინამდვილემ მენშევიკები დაიჩვია, რომ ყველაფერი მენშევიკური გადიოდეს ცხოვრებაში, თუმცა ზოგ შემთხვევაში ამას მარტო მენშევიკების კერძო ინტერესი მოითხოვს.

ჩვენ ხშირად აგვინიშნავს, რომ ასეთმა ბედის წაღმა დატრიალებამ მენშევიკებში ერთგვარი მანია გამოიწვია, მენშევიკები ამართლებენ ყველაფერს რასაც ჩაიდენენ, თუნდაც ზოგჯერ ამას უანურების ბოროტმოქმედების ბეჭედიც აჩნდეს, და თავშეუკავებელ ტრაბახს და თავის ქებას არ აქვს დასასრული.

თავის ქებისთვის მენშევიკები ყოველთვის ჰპოულობენ საბაბს საბიტინგო სიტყვებში, დამფუძნებელ კრებაში და ხანდახან ჰანაშვილებშიც.

ამის მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ მენშევიკების კლიენტელა ძალიან გაიზარდა და მოწონებას და შლაქვნელობას მეტი გასაღელი მიეცა. დაცხოვრების გაზოყენების ვაკხანალიაში ნაკლები დრო რჩებათ იმისა და ანალიზისთვის.

ამაზე წერა ისე მოსაწყენია, როგორც საზოგადოთ მენშევიკების შესახებ წერა, მაგრამ ბევრია შემთხვევა როცა მენშევიკური ბრიყვობა ყოველივე საზღვარს სცილდება და შეუძლებელი ხდება, უპასუხოთ დატოვება. მენშევიკებმა მაგრათ შემოიკრეს ჯავშანი. მათ წინააღმდეგ წერა საქართველოს სახელის გატეხას უდრის და ამას ხშირათ გვისაყვედურებენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შეუძლებელია ყველაფერი ამით გამართლებული იქნეს.

აი მორიგი კურიოზი ანდა პირდაპირ სისულელე...

ამას წინათ მენშევიკები ტრაბახობდენ დამფუძნებელ კრებაში მენშევიკურმა ფრაქციამ შეიმუშავა კონსტიტუციაო.

ჩვენ თავის დროზე ვიხილავთ ალბათ „მენშევიკების კონსტიტუციას“, მაგრამ მანამდი შეიძლება ზოგიერთმა დეპუტატმა წინდაწინ გვაჩვენოს თუ რა წარმოდგენა აქვთ უფლებაზე იმ ხალხს, რომელნიც ამ კონსტიტუციას სწერენ.

„ერთობის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია წერილი „ნაციონალ-დემოკრატები და კანონი“. წერილი შეეხება იმას, რომ ზოგიერთ კანონს რომელიც მიიღო დამფუძნებელმა კრებამ ნაციონალ-დემოკრატები ბევრ შემთხვევაში მიუღებელათ სცნობენ და ხანდისხან „ყაჩაღობასაც“ უწოდებენ, ასე იყო მაგალითად აგრარული კანონი; აგრეთვე სასტიკი კრიტიკა გამოიწვია დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულმა სასანიტარო გადასახადის კანონმა, რომელსაც ჩვენ დავარქვით თბილისის „კონტრიბუცია“.

ჩვენ არ გვახსოვს არც ერთი ქვეყანა, სადაც რომელიმე კანონს არ გამოეწვიოს სხვანაირი გაგება ხანდისხან თვით კანონის ავტორების შორისაც.

კანონის კრიტიკა ასე აუცილებელია როგორც თვითონ კანონი. „ერთობას“ უკვირს ჩვენი კრიტიკა ზოგიერთი კანონების და შემდეგს სწერს:

„ჩვენ სერიოზულად შეიძლია კითხვა დაუსვათ ნაციონალ-დემოკრატებს—ვისთან გაქვს საქმე, მათი სახით, სახელმწიფოს მომხრე, თუ მის წინააღმდეგ—ანარქისტულ ელემენტთან?

ნუ თუ ისინი ფიქრობენ, რომ კანონის გამოცემა ოთურმას თამაშია“?

ჩვენ არ შეგვიძლია ამაზე სერიოზულად უპასუხოთ, მხოლოდ მართლა საკითხავია, ვისთან გვაქვს საქმე მართლა „ოთურმის“ მოთამაშე ხალხთან, თუ პასუხისმგებელ მწერლებთან?..

ისე საკითხის დაყენება, როგორც ამას „ერთობა“ სჩადის, ჩვენ ეჭვს გვიბადებს, რომ მენშევიკ მანიაკებს თანდათან ეკარგებათ გონების ნასახი, როცა ასეთ აბსურდამდინ მიდიან და ჩვენ გვიშლიან კანონის კრიტიკას, სახელმწიფოებრივი მოსაზრებით, როცა ამგვარი კანონები ძირს უთხრიან თვითონ სახელმწიფოს.

ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეს წერილი მხოლოდ „lapsus“-ია, და „ერთობის“ რედაქციაში აწონიმების გამონაკლით აიხსნება.

ამდენხანს ჩვენ ვიცნობდით დამფუძნებელ კრების პირველ „სენატორს“ ზ. გულულს, ეხლა „სენატორები“ ძალიან გამრავლებულან—ამას ამტკიცებს „ერთობა“. მაგრამ როდის გათავდება ამ „სენატორების“ ოთურმა საქართველოს თავზე?

## ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲗᲐ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ

კავკასიის რესპუბლიკათა სახელდობრ: საქართველოსი, აზერბაიჯანის და მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელნი, გაეცნენ კოლჩაკისა და შეთანხმების სახელმწიფოთა მიწერ მოწერას, და საზავო კონფერენციას მემორანდუმით მიჰმართეს.

მემორანდუმში ისინი კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ, კავკასიის ერებისადმი ყურადღებით მოქცევის გამო. კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ იმისთვის, რომ ისინი ისეთ ერთეულებად იცნეს, რომელსაც უფლება აქვს რუსეთთან, საჭიროების დროს, ხელშეკრულებაც კი დასდოს. ამასთანავე თავიანთ მთავრობის სახელით განაცხადეს, რომ კავკასიის ერები, რომელთაც თავიანთი დამოუკიდებლობის დასაცავად მრავალი მსხვერპლი გაიღეს, მტკიცედ სდგანან იმ აზრზე, რომ ისინი დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა იყვნენ.

შემდეგ მემორანდუმში ნათქვამია:

„კავკასიის რესპუბლიკებს თავისი პოლიტიკური მოშავალი წარმოდგენილი აქვთ, ლიგის მფარველობის ქვეშ შექმნილ დამოუკიდებელ ერთეულებად. თბილისში მოწვეული კონფერენციი აწესრიგებს კავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთობის საქმეებს; მასზე ირჩევა საკითხები აგრეთვე უნიისა და სხვა. გვარ კავშირისა ამ სახელმწიფოთა შორის.

ამავე მიმართულებით მუშაობს კავკასიის რესპუბლიკათა პარიზის დელეგატები.

კავკასიის რესპუბლიკათა შინაურ ორგანიზაციის საქმე და მისი ნორმალ პირობებში ჩაყენება მეტად გართულდა იმ ნაბიჯების გამო, რომელიც გენ. დენიკინმა გადასდგა კავკასიის რესპუბლიკათა მიმართ.

ამ ლაშქარმა კიდეც დაიჭირა მთიელთა რესპუბლიკის ტერიტორიის უმთავრესი ნაწილი და დანარჩენ კავკასიის რესპუბლიკათათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

დელეგატები დარწმუნებული არიან, რომ მოკავშირენი დენიკინის ლაშქარს ფულსა, და იარაღს იმისათვის კი არ უგზავნიან, რომ მან კავკასიის ერები დაიჭყრას, არამედ შთაგონებენ მას, რომ დაჭერილ ადგილებიდან გავიდეს და პატივით მოეპყრას კავკასიის ერებს.

შემდეგ დელეგატები იმედს გამოსთქვამენ, რომ მოკავშირეთა ჯარისა და ადგილობრივ ხალხის შორის კარგი განწყობილება დამყარდება, რომ კავკასიის მიმართ რაიმე ზომის მიღების დროს მხედველობაში მიიღებენ ადგილობრივ მთავრობათა მოსაზრებებს.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

გამოვიდა ახალი ინგლისური გაზეთი „ჯორჯიენ მეილ“. გაზეთს თვით ინგლისელები სცემენ, ის ჯგუფი, რომელიც წინად „Тифлисскій Листокъ“-ის უკანასკნელს გვერდზე ინგლისურს განყოფილებას აწარმოებდა.

ამ გაზეთის გამოსვლა ქართველ ინგლისელთა დაახლოების საქმისათვის დიდ-მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

გაზეთის მოწინავე ფრიად საინტერესოა და მას სავსებით მოვიყვანთ ჩვენი გაზეთის შემდგომ ნომერში.

## ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ ᲬᲘᲜᲐᲦᲛᲓᲔᲑᲘᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ

„უტრო იუგა“ იტყობინება, რომ ყუბანის დელეგაციის წევრმა დოლგოშოლოკმა, რომელიც პარიზიდან დაბრუნდა განაცხადა, რომ ბიბმა ისევ ითხოვა დამოუკიდებელი ყუბანის აღიარება და ხალხთა ლიგაში მიღება, როგორც თანასწორი წევრის. უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარეს სიდორენკოს აგრეთვე წარუდგენია საზაო დელეგაციისათვის მემორანდუმი, რომელშიდაც იგი ითხოვს უკრაინის სრულს დამოუკიდებლობას და სხვათა-შორის აცხადებს რომ თანახმად ერის მიერ გამოთქმულ დავალებისა იგი აცხადებს, რომ უკრაინას არავითარი ფედერატიული კავშირი არ სურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ბოლშევიკებმა ჩელიაბინსკთან კოლჩაკის ჯარი გაანადგურეს, ხელთ იგდეს 9.000 ტყვე. 4.000 ვაგონი და 100 ორთქლმავალი.

ბუდაპეშტში შესულმა რუმინეთის ჯარმა ახალ მთავრობის 2 მინისტრი ძევლად დაიჭირა.

როგორც ბოლშევიკური რადიო იუწყება ცნობა ტროცკისა და ლენინს შორის უთანხმოების შესახებ მოხალისეთაგან გამოგონილი პროვოკაცია არის.

დასავლეთის და სამხრეთის ფრონტზე ბოლშევიკებმა დაიხიეს.

ბოლშევიკთა ცნობით ჰუნგრეთის ყოფილ მთავრობის წევრებს სახელმწიფო სასამართლოს გადასცემენ.

# მოქალაქენო!

## 10, 11 და 12 აგვისტოს შესდგება დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები.

## ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სია არის № 2

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ერთად ერთი არა სოციალისტური ფრაქცია დამფუძნებელს კრებაში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გარს იკრებს დემოკრატიულ, არა სოციალისტურ წრეებს.

## ხმა მიეცით № 2

არც დემოკრატიულ, არც რეაქციონურ და არც საბჭოთა რუსეთთან.

## ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲡᲗᲐᲜ

ჩვენს გაზეთში უკვე მოთავსელი იყო ცნობა, რომ თერგის ოლქის და ზოგიერთ სხვა კუთხეებში ქართველები ვალდებულნი გახადეს მოიხადონ სამხედრო ბეგარა. ეხლა ვბეჭდავთ დონის ატამანის ბრძანებას ამაკე საკითხის შესახებ.

### ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

**როსტოვის მხარისა და დონის უმაღლეს ჯარებისადმი.**

ქ. ნახიჩევანი დონზედ 12 ივლისი 1919 წ.

№ 182. სამხედრო ნაწილი.

№ 1.

თანახმად სამხედრო და საზღვაო განყოფილების გამგის ბრძანებისა, სამხრეთ რუსეთის ყველა მკვიდრი მცხოვრები გაწვეულ უნდა იქმნენ ჯარში.

ამ ბრძანების აღსასრულებლად, ყველა ქართველებს, რომელნიც გადმოსახლდენ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ტერეტორიაზედ 1914 წ. 1-ლ იანვრამდე და ამ ჟამად სცხოვრობენ როსტოვში, ნახიჩევანში, ან ახოვში და დაბადებულან 1871—1900 წლამდე, უბრძანებ გამოცხადდენ მისაღებ პუნქტში 15 ივლისს დილის 9 საათზედ.

ყველა ქართველთ, დაბადებულთ 1884 წ., რომელნიც სცხოვრობენ სოფლებში, სტანიცებში, უბრძანებ გამოცხადდენ მისაღებ პუნქტში 20 ივლისს დილის 9 საათისთვის.

ამ ბრძანებაში აღნიშნულ ვადებიდან, ყველა ქართველნი, რომელნიც ზემოდ აღნიშნულ წლებში არიან დაბადებულნი, სამხედრო სამსახურისათვის ვალდებულად ცხადდებიან და თუ არ გამოცხადდებიან, დასჯილნი იქნებიან სამხედრო კანონების მთელი სისასტიკით.

საოლქო ატამანი: გენ.-მაიორი

**ᲣᲣᲩᲔᲜᲙᲝᲕᲘ.**

### ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲡᲐᲑ ᲠᲣᲡᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

20 ივლისს უმაღლესმა საბჭომ პარიზში მოისმინა განცხადებანი პრეზიდენტის, ვენიზელოსის და ტიტონის საგარეგნეთის და იტალიის გავლენათა სფეროების განსაზღვრის შესახებ მცირე აზიაში.

გაზ. „matin"-ის აზრით, უმაღლესი საბჭო და მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენელნი შეთანხმდენ გაიყვანონ სადემარკაციო ხაზი იტალიისა და საბერძნეთის შორის განსაზღვრავად. ამ ხაზს არ უნდა გადასცდენ ხსენებულ სახელმწიფოთა ჯარები.

სხდომის წინ, კლემანსო დიდხანს ეთათბირა ვენიზელოს რის შემდეგ განუცხადა, რომ იტალიასა და საბერძნეთს შორის სრული თანხმობა ჩამოვარდაო.

### ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲒᲝᲚᲔᲑᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ინგლისურ გაზეთ „Manchester Guarvtian" ში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „რუსეთი და სტამბოლი". „საზონოვის ლონდონში ჩამოსვლამ გამოიწვია რუსების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის ბრინჩანინოვის წერილი, რომელშიც ითხოვს, რომ მანდატი სტამბოლზედ დროებით გადაეცეს ინგლისს იმ პირობით, რომ ინგლისმა ეს მანდატი დაუთმოს შემდეგში რუსეთის მთავრობას, როდესაც მას კოლჩაკი შეჰქმნის. საზონოვი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო მაშინ, როდესაც მეფის მთავრობამ მიკავშირეებთან ფარული ხელშეკრულება დასდო, რომლის ძალით სტამბოლი რუსეთს უნდა გადასცემოდა".

## ᲘᲐᲠᲝᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

იაპონიის ფრიად გავლენიან გაზ. №-okhil-ის რედაქტორმა ბ. სოიენმა პარიზში ჟურნალისტებს განუცხადა რომ ის ღრმად დარწმუნებულია იაპონიისა და რუსეთს შორის მტკიცე კავშირის დამყარებაში.

მხოლოდ შეთანხმებული იაპონია და რუსეთი შესძლებენ დაამყარონ წეს-რიგი აზიაში და შეაჩერონ ბოლშევიკური მოძრაობა ჩინეთში

იაპონიას შეუძლია აღმოუჩინოს რუსეთს დაუყონებლივი ფინანსიური დახმარება და სახელმწიფო ან კერძო სესხის მიცემით.

რაც შეეხება სამხედრო დახმარებას 1. სოიენის ახსნით, რუსეთისათვის უკვე საჭირო აღარ არის.

ლონდონის გაზეთები სწერენ, რომ იაპონიისათვის, ფრიად ხელსაყრელი შეიქნა მოკავშირეთა შიერ კოლჩაკის ცნობა და მაინც იგი ტყვილ-უბრალოდ არ იცნო:

კოლჩაკმა დაპირდა იაპონიას კონცესები ციმბირში და მანჯურიაში, ხოლო მოკავშირენი იცნობენ იაპონიის გეგემონიას შორეულ აღმოსავლეთში და მოუპოვებენ მას მსოფლიო ბაზარს.

აღმოსავლეთის ერები, არ შეიძლება ან აღელვდენ როდესაც შეხედავენ რომ აზიელთა ჯარი აქრობს მსოფლიო რევოლუციას - ეს გამოიწვევს დიდ სკანდალს შეერთებულ შტატებში და ინგლისის პარლამენტში.

ბარტურის ისტორია ცხოველ ინტერეს და დიდ მოძრაობას იწვევს ამერიკაში. ის გარემოება, რომ იაპონია არ არის პოპულიარული გახდა მიზეზი, რომ იაპონიის ელჩი ვიკონტიში იძულებული იყო დაეტოვებია ვაშინგტონი და ტოკიოში დაბრუნებულიყო. მოკავშირენი ეპირებენ შეურაცყონ საუკეთესო გრძნობები, როდესაც იაპონიას ანდობენ უწინამძღვროს მათს მოკავშირე კოლჩაკს.

## ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

გაზ. „ბორბა"-ში მოთავსებული იყო მოხალისეთა ჯარის შტაბის 29 მკათათვის თარიღით შემდეგი ცნობა: „მამისონის უღელტეხილზე (ოსეთის სამხედრო გზაზე) გამოჩნდნენ ქართული ნაწილები 8 როტიდან შემდგარი და ჩვენს სადარაჯო რაზმს უკან დაახევინეს. ქართველთა წინსვლის შესაჩერებლად ზომები უკვე მივიღეთ," ამ ცნობის გამო საქართველოს სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის განყოფილება აცხადებს რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება.

ნამდვილად საქვე შემდეგში მდგომარეობს ოსთა ბრბოები მკათათვის 25-ს მამისონის უღელტეხილზე ჩვენ ნაწილებს უცდათ თავს დაესხენ ტ ჩვენი სადარაჯო რაზმები აიძულეს უკან დახევა. ამ დროს ჩვენებიდან მოჰკლეს 3 და მძიმეთ დაჭრეს 2 კაცი. ტყვედ დაჭრილ ოსთა შორის კიბიზოვი, ჯანოევი, ქუჩიევი და მაკაევი აცხადებდენ, რომ ჩვენ წინააღმდეგ მოქმედობდა ოსთა მე-3-ე ბატალიონის ერთი ასეული პორუჩიკ გიოევის მეთაურობით. ეს ასეული შემდგარი იყო ადგილობრივ ოსთაგან.

რესპუბლიკის მთავრობას, ერთის მხრით, არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ოსების ბრბოების ჩვენ ტერიტორიაზე დატოვება, მეორეს მხრით დაუსჯელად დატოვება ასე მუხანათურად უმიზეზოდ ჩვენ სამხედრო ძალებზე თავდასხმა, ამისათვის ონის რაზმის უფროსს მიეცა ბრძანება, რომლის ძალითაც მან ჩვენი ტერიტორია პირველ აგვისტოსათვის ბტრის ჯარისგან გასწმინდა და მამისონის უღელტეხილი დაიჭირა.

## ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ-ᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲐ

მარიამობისთვის 6-ს, ღამით, საჯარიო მოედანზე ვინმე უცნობმა თოფი ესროლა ინგლისელ ჯარის-კაცს ლან-კაპრალს ედუარდ მარტინს, რომელიც დაჰყვებოდა ახალგაზრდა ქალს ანა კონილიევას; ჯარის-კაცი მაშინვე გარდაიცვალა, ხოლო ქალი დაიჭრა. რადგან მაშინვე ეს ამბავი არ ეცნობა სისხლის სამართლის მილიციას უფროსს ფაჩულიას, უკანასკნელი მივიდა მკვლელობის ადგილზე მხოლოდ მეორე დღეს დილის 11 საათზე, სადაც აგრეთვე მოვიდა ქალაქის მოურავი ბ-ნი ჩხიკვიშვილი. აქვე გამოცხადდა ინგლისელთა სამხედრო პოლიციაც. დაჭრილმა ახალგაზდა ქალმა განუცხადა ქალაქის თავს, რომ მკვლელები იყვნენ ქართულ პოლკის ჯარის-კაცები, და ერთი მათგანის სახეზე ცნობა მას შეუძლიან. საჩქაროდ გაზოიყვანეს რკინის გზის ბათალიონის ჯარის კაცები და ჩაამწკრივეს ქალის წინ და 40 კაცში მან იცნო ერთი ჯარის-კაცი—ბულაძე, რომელიც იმ წამსვე შეიპყრეს. ბულაძემ ვერ მოახდინა ვერც ქალაქის მოურავზე და ვერც მილიციის უფროსზე მკვლელის შთაბეჭდილება. მაგრამ მილიციის უფროსმა ფაჩულიამ სალდათებში მიაქცია ყურადღება ერთს, რომელსაც ემჩნეოდა მღელვარება და სწორე ვერ უყურებდა სახეში მილიციის უფროსს, და ხშირად ეცვლებოდა სახის ფერი და გამომეტყველება. ფაჩულიამ უბრძანა შეეპყრათ ეს ჯარის-კაცი, ერმალოზ ბარდაველიძე, რომელიც ბევრი დაკითხვის შემდეგ გამოტყდა ინგლისელ ჯარის-კაცის მკვლელობაში. მან გათქვა აგრეთვე თვისი ამხანაგი ბაგრატ ღვენაძე - ორივეს ერთად მოეკლათ ინგლისელი ჯარის-კაცი და დაეჭრათ ახალგაზდა ქალი. ღვენაძე შეუშინდა პასუხისგებას და დაპირა დამალვა, მაგრამ რკინის-გზის სადგურზე შეიპყრეს. ისიც გამოტყდა თავის დანაშაულში. ორივე ბრალდებულმა წარადგინეს თოფები, რომლითაც მათ მკვლელობა ჩაიდინეს. ბრალდებულნი თოფებითურთ გადაეცა საგანგებო კომისიას, რომელიც შეუდგა გამოძიებას, პროკურორი ტატიშვილის ხელმძღვანელობით.

## ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲝᲜ.

იმ წინადადებაზედ, ამიერ-კავკასიის კონფერენციის სხდომების განახლებისათვის, რომლითაც მიმართა საქართველოს მთავრობას აზერბაიჯანის და სომხეთის მთავრობამ, გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ე. გეგეჭკორმა შემდეგი პასუხი მიიღო:

საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს — ერევნიდან 8 აგვისტოს 1919 წ.

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა, გრძნობს რა სერიოზულ მომენტს და სდგას რა იმ თვალსაზრისზედ, რომ ყველა სადაო საკითხები შეთანხმებით უნდა გადასწყდენ, სავსებით უერთდება თქვენს წინადადებას, რომ ამიერ-კავკასიის კონფერენციის სხდომები კვლავ განვაახლოთ, რისთვისაც მან თვისი თანხმობა გასცა ჯერ კიდევ 30 ივლისს, თვისი დეპეშით ევანგელოვის სახელზედ № 3120 აგვისტოს 8.

საგარეო საქმეთა მინ. **ხატისოვი.**

—

საგარეო საქმეთა მინისტრს გეგეჭკორს - ბაქოდან 8 აგვისტოს, 1910 წ.

№ № 5559 და 5581-ზედ ამით გაცნობებთ, რომ მთავრობა ყოველთვის ისწრაფოდა ამიერ-კავკასიის ერთა მშვიდობიან ცხოვრებისათვის და სადაო საკითხების მშვიდობიანად გადასაწყვეტად; ამ მიზნით მან, ჯერ კიდევ ივლისის დასაწყისში გამართა მოლაპარაკება სომხეთის წარმომადგენელთან, დროებითი საზღვარის ხაზის დასამყარებლად. ვცნობთ რა ლ ევანდელ მომენტს ფრიად ამიერ-კავკასიისათვის სერიოზულად, ვაცხადებთ ჩვენს თანხმობას კონფერენციის მუშაობის განახლებისათვის. № 2455.

საგარ. საქმ. მინისტრი **ჯაფაროვი.**

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘᲡᲒᲣᲚᲘ

საზავო კონფერენციაზე საფრანგეთის დეპუტატთა ჰალატის წარმომაგენლებმა მოითხოვეს რომ გერმანიამ საფრანგეთს 200 მილიარდი გადაუხადოს.

## ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ

როგორც პარიზიდან იუწყებიან ირლანდიიდან ჩამოსულა პოლკ. ტომსონის სიტყვით ირლანდიელთა უბეტესობა ჰომრულის მომხრეა.

ტომსონი, რომელიც ირლანდიაშია დაბადებული აცხადებს, რომ მისი სამშობლო არაჩვეულებრივად შდიდარია. ცხოვრება იქ გაცილებით იაფია ვიდრე ინგლისში, საქონელი შრავლადაა, ფული საკმაოდ. „ამერიკის მთავრობას", განაცხადა ტომსონმა, „არავითარი უფლება არა აქვთ რომ ინგლის ირლანდიის ურთიერთობაში ჩაერია. ამერიკაში გამგზავრების წინ პოლკ. ტომსონმა საზავო კონფერენციაზე ამერიკის წარმომადგენელთან უაიტთან ხანგრძლივად ისაუბრა.

## ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲣᲓᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ

წლევანდელი მოსავალი თბილისის მაზრაში შესამჩნევათ დაზარალდა სეტყვისა, ქარისა და კალიისგან.

გაზაფხულზე დაისეტყვა თითქმის მთელი მაზრა. განსაკუთრებით მაგლისის კუთხე და ივრის ხეობა, სადაც მთლად განადგურებულია ხეხილი და ვენახები. პურის მოსავალიც საკმაოდ დაზიანდა მაგრამ ისე კი არა რომ სოფელს შარშანდელი სიმშილობა მოელოდდეს. საინტერესოა, რომ შერვე წელიწადია რაც თბილისის მაზრას რიგიანი მოსავალი არ უნახავს- ამის მიზეზები იყო ხან ქალია, ხან თაგვი და უფრო კი სეტყვა და გაზაფხულზე კი სასტიკი ქარები რომელნიც სულ ერთიანად ჰგვიან ახლად ნათეს ჭირნახულს.

არავითარი ზომები დამზიანებელთა წინააღმდეგ არ ყოფილა მიღებული და ეს მოვლენა შეტად საყურადღებოა ვინაიდან დაზარალებული სოფლები ქალაქიდან შეტად მცირე მანძილიან არიან დაშორებულნი. წლევანდელი მოსავალი უფრო საშუალო უნდა იყოს.

თბილისის მაზრის ერობის ცნობათა მიხედვით მოსავლის ვარაუდი თბილისის მაზრაში ამნაირია:

1. დიმის სანახებში დათესილია 500 დესეტინა მიწა.
2. ივრისხეობაში—პური დაახლოებით 160 დესეტინა; ქერი 3 დეს; სიმინდი 53 ნახ. დეს.
3. მანგლისის კუთხეში დათესილია პური—192 დესეტ. ქერი დაახლოებით—88 დესეტინა.
4. სამარტყოფოში: პური—200 დეს. ქერი—88 დესეტინა.
5. საოელეთოში: პური—485 დესეტინა და ქერი 149 ნახ. დეს.

მოსავალი ახლა კიდეც მოწკილია და სოფლებში გაჩაღებული კალოობაა. პურის მაზანდამ დაიწია ხოლო სიმინდის ნაკლებობა წრეულს შესამჩნევი იქნება.

## ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

**დღეს, დილის 11 საათზე, რედაქციის ბინაზე, დანიშნულია მთავარ კომიტეტის მორიგი კრება.**

**— თბილისის საბჭოში.** თბილისის საბჭოს სხდომა შესდგება მარიამობისთვის 11-ს. სხდომა გაიხსნება რეგლამენტის თანახმად. პრეზიდიუმი სთხოვს ყველა ფრაქციებს, მიიღონ ზომები, რომ ხმოსნები თავის დროზე მობრძანდნენ.

**— იტალიელების წასვლა.** პრინცი სავოელი ამ დღეებში იტალიაში მიემგზავრება. იტალიის მეზღვაურები ტვალ სტოვებენ თბილისს. პოლკოვნიკი გაბბა, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა, თბილისში მყოფ იტალიის მისიის მეთაურად დაინიშნა.

**— ბერძენთა მისიას,** როგორც გადმოგვცემენ, ჰსურს ამიერ-კავკასიაში დაამყაროს ეკონომიური ურთიერთობა საქონლის გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე.

**— სარგის კაკახაძე** რესპუბლიკის სასწავლებლებისათვის ადგენს ისტორიის სახელმძღვანელოს.

**— ირ. ევდოშვილის** ოჯახის სასარგებლოდ მეორე ქართულ კლუბმა 300 მანეთი შესწირა.

**— საქართ. ექიმთა პროფესიულ კავშირის** თბილისის განყოფილ. საზოგადო კრებაზე საექიმო-სასანიტარო ინსპექტორის თანამდებობაზე დიდის ხმის უმრავლესობით, დაუსახელებიათ ექიმი ალექსანდრე მაღალაშვილი.

**— იბეჭდება** „სორაპნის" სტამბაში გიორგი ჯანაშვილის მიერ შედგენილი წიგნი „ამბანაგი".

**— ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ზაქარია ჭიპინაძის ახალი წიგნი: „ოსების ჩამოსახლება ქართლში". წიგნი ღირს 2 მანეთი.

### ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

**— კაპელლა.** კოოპერატივთა კავშირი ყოველ დღე იღებს პროვინციიდან დეპეშებს თავის განყოფილებიდან, რომ საზოგადოება დიდი სურვილით მოელის კაპელლას (მომღერალთა გუნდს) მოსვლას და იმედოვნებს, რომ კოოპერატივთა კავშირის უმთავრესი გამგეობა უყურადღებოდ არ დასტოვებს მათ და დაატკბობს კონცერტებით, რომლის მოთხოვნილებასაც პროვინცია განიცდის.

### ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ.

**ბ-ნ გვალიას** წერილში დაბეჭდილია: ხალხში სახელმწიფოებრივი იდეა მინიმუმამდე შესუსტებულია. უნდა იყოს: მაქსიმუმამდე.

## ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲗ!

სწორედ მაშინ, როდესაც ქ. ბათომს დიდი საფრთხე მოელოდა თათრებისაგან და ჯარი ბოლშევიკური გრძნობით იყო გაჟღენთილი, მაშინდელი სამხედრო მინისტრის ბ-ნი ე. გეგეჭკორის გენერალი მაზნიაშვილის და სამტრედიის თავდაცვის კომიტეტის დავალებით შევადგინე რაზმი სოფელ საჭილაოდან ოთხასი კაცისაგან და 24 მარტს 1918 წ. გავემგზავრე ბათომისაკენ. ჩამაბარეს სიმაგრე „კვიცელაური", რომელსაც ბოლომდის მედგრად ვიცავდი როდესაც ჩვენები სიმაგრე „ანარიაზედ" დამარცხდნენ, თათრები ჩემს სიმაგრეს მოადგნენ მე რასაკვირველია წინააღმდეგობა გაუწიე, მიუხედავათ იმისა, რომ თითქმის მარტო ჩემი რაზმი იყო დარჩენილი. როდესაც მე ტყვიები ამომაკლდა, მიგმართე ბათუმის სიმაგრეების უმფროსს გენერალ შადიანს რომ მოეშველებია ჯარი და ტყვია, მაგრამ ამის ნაცვლად მიბრძანა რომ თათრებთან „პარლამენტიორები" გამეგზავნა ჩემი რაზმიდან ბრძოლის შესაჩერებლათ, რაიცა შევასრულე. ბოლოს თვით ბათუმიდან მოვიდენ პარლამენტიორები რომლებმაც მიიღეს ჩემგან ცნობა სად უნდა მისულიყვნენ და გაემგზავრნენ. გულ-დაწყვეტილი დაგასტოვე ბათომი რომელსაც უკვე ალყა ჰქონდა შამორტყმული და ფიხით, შავი ზღვის პირით ჩამოველი ჩაქვში. სამი დღის შემდეგ სამტრედიის რაიონის სალდათთა და მუშათა საბჭოს დავალებით გავემგზავრე სამეგრელოში ბოლშევიკების წინააღმდეგ. თუ როგორი იყო ჩემი გამოსვლები, ამის დამტკიცება შეუძლიანთ ქუთაისის გუბერნიის კომისრის რწმენებულს ვლადიმერ ემუხვარს, დამფუძნებელი კრების წევრებსა ბარნაბა ძველაიას, იოსებ კვარაცხელიას, ალექსანდრე ჩიქავას, ყოფილ სენაკის მაზრის კომისარს დათიკო ცხაკაიას სენაკის გვარდიის შტაბის თავჯდომარეს, აკაკი ხორავას, სენაკის ერობის წევრს სანდრო ანჯაფარიძეს და მრავალ სხვას. სამეგრელოში და სამურძაყანოში ოპერაციის გათავების შემდეგ სამტრედიის საბჭოს დავალებით გავემგზავრე ქ სოხუმში, საიდანაც გენერალ მაზნიევის განკარგულებით გავემგზავრე კოდორზე ჩამოსულ ალექსანდრე შარავაშიძის თაოსნობით თათრების იარაღის ასაყრელათ, რომელიც კეთილად შევასრულე. შემდეგ ვიყავი გაგზავნილი ქ. ადლერში ჩვენი ჯარების დასახმარებლათ და მონაწილეობას ვღებულობდი ბრძოლებში ქ. ხოსთაში, სოჭაში, ს. დაგომისში, ს. ლოოში, გოლოვინკაში- ლაზარიევსკაიაში, ქ. თუაფსეში, კრივინკოვსკაიაში, გოიტხში, ქ. არხიპო ოსიპოვკაში, ჯუბგაში, თუაპსის დაცვაში, ს. ბელორეჩენსკაის აღებაში და სხვა ბრძოლებში. ამ ბრძოლებში ჩემი რაზმი პირველ როლს თამაშობდა და შედგრათ და უშიშრად ბრძოლაში მიდიოდა, დავკარგე სულ 24 კაცი; მეც ცხრა კაცით თუაპსეში ბრძოლის დროს ბოლშევიკებისგან გარ-შამორტყმული ვიყავი და მხოლოთ მეშვიდე დღეს მთებით მოველი ქ. სოჭაში. ყველა ამ ჩემ ნათქვამს დაამტკიცებენ: თვითონ გენერალი მაზნიევი, მთელი ჩემთან მყოფნი აფიცრობა და სალდათობა მესამე პოლკისა, პირველი და მეექვსე ბატარეისა და მრავალი სხვაც, ვისაც ბრძოლაში უნახივარ.

ერთხელ იყო შემთხვევა, რომ თუაპსეში პოზიციიდან ჩამოსულებმა აფიცრებმა მოვინდომეთ რესთორანში ვახშმობა. როდესაც ჩვენ ცოტათი შეზარხოშებულნი ვიყავით, შამობრძანდა ვიღაცა კაცი თავისი დამით და გვინბრძანა დაშლა. მაგრამ ჩვენ არაფერ სათაკილოს არ ჩავსდიოდით და არც ვიცოდით ვინ იყო მბრძანებელი. დაშლაზე უარით ვუპასუხე რაზედაც შამოგვძახა: მე შემიძლია თქვენი გაუბედურობა, „გასალდათებაო" მე მინდოდა შესაფერი ზომები მიმეღო, მაგრამ ამ დროს რესტორანში შამოვიდა პოლკოვნიკი ბაბუნაშვილი, რომელმაც გაძაცნო ბ. გიზო ანჯაფარიძე, როგორც მთავრობის რწმუნებული. მე ბოდიშის მოხდით გარეთ გაველი. ჩვენს ბატ. გიზო ანჯაფარიძეს თურმე არ ესიამოვნა რომ მისი ბრძანება არ შევასრულეთ და თავის დამასთან ასე გავაწბილეთ. მოდგა და წერა მთავრობას ჩეძი საწინააღმდეგო. და ერთი პატარა შემოხვევა უზომოდ გაადიდა. შედეგად ჯარის უმფროსობიდან ჩამომაყენეს და სოხუმში გამომგზავნეს, მაგრამ როცა შეატყვეს რომ უჩემოთ ჯარმა წინ ნაბიჯი არა ჰქნა, ვითომ შეცდომა მაპატიეს და ისევ ტუაპსეში პოზიციაზედ გამიშვეს. ორი დღის შემდეგ ბოლშევიკები, რიცხვით 12 ათასი კაცი, ჯავშნიანი მატარებლით თავს გვესხმოდენ ტუაპსეში, მაგრამ ჩვეულებრივათ დავასწარი გავილაშქრე პირველი და მეექვსე ბატარეიათ ერთმა მუჭამ თორმეტი ათას ბოლშევიკს შევებრძოლეთ, დავამარცხეთ, ჯავშნიანი მატარებელი წავართვით და მტერი უკუ ვაქციეთ. შემდეგ ამ ჩვენს ერთ მუჭა ჯარს ორი ფრონტი გაუჩნდა: ნოვოროსიის და მაიკოპის; დავნაყოლდით, მე ნოვოროსიისკენ გავემგზავრე, კაპიტანი ჭკადუა კი ბელორეჩინსკისკენ, მაგრამ ბოლშევიკების დიდი ძალა მოგვაწვა და ორივე მხარეს დავმარცხდით, თვითონ ჭკადუა მოკლულ იქნა და მრავალი ჩვენი ჯარის კაციც დაიღუპა.

ამ ბრძოლებში ყველა მყოფი აფიცერი და ჯარის კაცნი სრულიად დარწმუნებული ვიყავით, რომ სამშობლოსთვის დიდი შრომა გავწიეთ და რომ სამშობლოში მუდამ დაფასებული ვიქნებოდით, მაგრამ ამაოთ; დაფასება კი არა მთელათ გვამცირებენ და უკან გვაყენებენ იმ აფიცრებზე და ჯარის კაცებზე, ვინც მაშინ სახლში ბრძანდებოდა და არხეინათ ისვენებდა.

ეტყობა ბევრი უმუშავნიათ ჩემს წინააღმდეგ, რომ ახლოს არ მიკარებენ და როგორც მოღალატეს ისე მიყურე-

ბენ ისეთი პირები გამოდიან და ჩუმათ ილაშქრებენ ჩემს წინააღმდეგ, რომელნიც თვალით არსად არ მინახავს და ჩემთან ბრძოლაში არც ყოფილან. საიდან მიცნობს მე ან ბ. ვალიკო ჯუღელი და ან ბ-ნი ალექსანდრე დგებუაძე, რომ ჩემს წინააღმდეგ ილაშქრებენ და ყველას არწმუნებენ, ვითომ მიღალატე ვიყო სამშობლოისა თუ რაზე დაბნაბაობა მიმიძღვის, მე მგონია საქართველოში არსებობს სასამართლოები, თქვენც და გიზო ანჯაფარიძეს შეგიძლოთ ჩემი სამართალში მიცემა, და როცა გავმტყუნდებოდი მაშინ სრული ნება გაქვნებოდა ჩემს წინააღმდეგ, როგორც მოღალატისა, ყოველი საშუალებით გებრძოლათ... თქვენ ჩემს სამართალში მიცემას ვერ ბედავთ, დარწმუნებული ბართ რომ სიმართლე მაქვს და ჩუმ-ჩუმათ დედაკაცურათ ცილს მდებთ. თქვენ და გიზო ანჯაფარიძე ბრძანებულხართ ღმერთები რომ კაცი სიტყვას ვერ შამოგიბრუნებთ და თუ შამოგიბრუნეს, თქვენ იმას გაანადგურებთ. მე მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ თქვენისთანების გაბატონებისთვის მიბრძვია და მრავალი სისხლი დამიღვრია. მხოლოდ ამას გთხოვთ; მიდით და უთხარით ამ ბრძოლებში მოკლულ აფიცრებს და ჯარის კაცთ:

„ჰე, თქვენ სულელებო, რატომ შეწირე თავის სამშობლოსთვის მე კი ვი თხოვ გამასამართლოთ და პასუხი მიგოთ თქვენს წაჩურჩულებაზედ. და შაგოთ თქვენს წაჩურჩულებაზედ. და შაშინ, მე მგონია, ნებას შომცემთ ვემსახურო ხალხს და ჩვეულებრივათ რამე კარგი შოუტანო. თქვენგან მოვლილ აფიცრებს ჭსურვებ, რომ გააკეთებინონ საქართველოსათვის იმდენი, რამდენიც მე ჩემი პატარა ძალღონით მიმიძღვის და მე კი სულ უადგილოთ და გარიყული მევლოს, თქვენგან მოღალატედ მონათლულს.

**იაკობ დუნდუა.**

## საზიზღარი მკვლელობა

წარსულ 20 მკათათვეს დილის 10 საათზე სოფ. ჯვარისაში (ქუთაისის მაზრა, ოკრიბა) ყაჩაღებმა თ. მორჩაძემ და მისმა ამხანაგმა ძოწენიწემ მოკლეს ამავე სოფლის მცხოვრებ იოსებ მესხის შვილი, ქუთაისის გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფე მალხაზ მესხი.

მკვლელობის ისტორია შემდეგია:

20 მკათათვეს სოფ. ჯვარისაში დღით კვირას მორჩაძე მიდის ეკლესიაზე: ეს ის დროა, როდესაც მღვდელი წირვას უნდა შეუდგეს დილის ლოცვის შემდეგ. მღვდელის და ეკლესიის მოსამსახურის გარდა იყო 50-დე სოფლელი კაცი როდესაც ყაჩაღები შეცვინდენ ეკლესიაში ხალხს შეყვირეს ერთი მხრისკენ მიდექით და ვისაც იარაღი გაქვთ დაუყონებლივ აქ მოგვართვითო. ამ ხალხში მხოლოდ სამიოდე კაცს აღმოაჩნდა ხანჯლები და მყისვე შეასრულეს მორჩაძის ბრძანება. დაუძახეს ეკლესიის სტაროსტას და როდესაც იგი მიუახლოვდა სიტყვებით: „მე გახლავარ ბატონო“ დასცეს თავში თოფის კონღახი და სისხლი ადინეს; შეუცვივდენ საკურთხეველში მღვდელს და უბრძანეს ხალხთან გამოსულიყო. აკანკალებული მღვდელი გამოვიდა და მიაძახეს: „შენ დააფიცე ჯვარისს მცხოვრებლები რომ მორჩაძეს უღალატონო და გასცენო, ეხლავე ხელახლა დააფიცე რომ მე არ მიღალატონო.“ ამის შესრულება არც კი დააცალა მღვდელს და დაუშინა რევოლვერი ხატებს შემდეგი სიტყვებით: „ნუ თუ ამ ხატების გწამთ რამეო“. შემდეგ უბრძანა მღვდელს და იქ მყოფს ყველას წამოსულიყვენ მესხისას, გზაზედ ეუბნება ხალხს: „აბნაურები უნ და ამოვსწყვიტო ყველაო.“

როდესაც შემოვიდნენ მესხის ეზოში, ხალხი დაიყენა ცალკე და გამოიძახა იოსებ მესხი, მაგრამ რადგანაც იოსები არ იყო შინ, გამოეგება წინ მისი შვილი მალხაზ. მორჩაძე შეეკითხა; „სად არის მამა შენიო“ ყმაწვილმა მიუგო: „მამა ჩემი არ არის სახლში მგონი წისქვილშიაო.“ მაშინ, მორჩაძემ გადასცა ეს ყმაწვილი თავის ამხანაგს ძოწენიძეს და თვითონ სახლში შევიდა მოხუცებულ მამის—იოსების საძებნად და როდესაც შინ ვერ იპოვა მიუბრუნდა ყმაწვილს: „თუ მამაშენი არ არის შენ მოგკლავო“ და ორჯელ ესროლა რევოლვერი და ყმაწვილი წაიქცა დაჭრილი და მუდარება დაუწყო ნუ მომკლავთ რა დაგიშავეთო. დაჭრილ შვილს 60 წლის დედა მივარდა და უკანასკნელად თავის მშობლიური კალთა მიაფარა, მაგრამ მეორე მხეცმა ამხანაგმა დაურთო თოფის კონდახი თავში და სხეულში დედას და დაჭრილს ყმაწვილს დაუწყო სროლა და სიცოცხლეს გამოასალმა. ააგლიჯეს ყმაწვილის გვამს დედა და თმის თრევით ხალხის წინ გაძღოლით წაიყვანეს მამის საძებრად იქვე ახლო მდებარე წისქვილში. წისქვილს დაუშინეს ტყვია მერმე შეცვინდენ შიგ, მაგრამ ვერავინ იპოვეს და ისევ იმავე გზით მესხისას დაბრუნდენ. გზაზედ ხალხს უბრძანა: ეხლა თქვენ შინ წადით დაუყონებლივ და ვინც მე მიკითხოს უთხარით, რომ აქვე მახლობელ სოფელ ხორჩანაში ვიქნებიო. ხალხი წავიდა, მაგრამ მორჩაძემ და მისმა ამხანაგმა ეხლა იქვე მეორე მოსახლეს მიაშურეს მიხეილ მესხს; თურმე მიხეილ მესხი ამ ყმაწვილის მკვლელობის დროს შინ არ ყოფილა და როდესაც ეზიში უნახავს ველურად მოკლული ყმაწვილი შინ გაქანებულა და შომზადებულა თოფით საბძელში („ვინტოვკა“ ჰქონია შიგ ჩალაგებული ტყვიებით მიწაში ჩაფლული) ეხლა მორჩაძემ დაუშინა ცის წვიმასავით მიხეილ მესხის სახლს ტყვია. მიხეილ მესხმა ესროლა და მარჯვენა მკლავში დაჭრა. მორჩაძე და იქვე წაქცეულა, მაგრამ დახე მესხის უღიბლობას მეორე ტყვია აღარ გავარდნილა ჯანგის გამო ისევ კი მარტო ნაჯახით შეუძლებელი იყო მეორე ამხანაგს შეტოქებოდა, რომელსაც ხარბაზნის შეტი ყველაფერი იარაღი ჰქონდა. ამ სროლამ თითქმის 2 საათი გასტანა და რომ არავინ შოვიდა მაშველი არც სოფლელი არც მილიცია, დაჭრილი მორჩაძე ამხანაგმა წაიყვანა ტყე-ტყე. მიუხედავათ იმისა, რომ ამ სროლის დროს ორი მილიციელი იმყოფებოდა ამავ სოფელში და სროლა რომ გაიგონეს გაიქცენ მეორე სოფელში. მოკლულის მამას, იოსებს მესხს გაუგონია თოფის სროლა მის ოჯახში ფეხშიშველი გაქცეულა იქვე მახლობელ სასოფლო კომისარ. ს. ანდიკორში, სადაც საზოგადოების ყრილობა ყოფილა, ქუთაისის მაზრის ერობის თავმჯდომარის ამხანაგის შ. სანებლიძის მეთაურობით ერობის საქმეებზე. მესხს მიუმართავს ბ-ნ სანებლიძისათვის და მთელი საზოგადოებისათვის მიშველეთ ოჯახს მიჟლეტენო“ სანებლიძეს უპასუხია: „რა მდიდარი შენ ხარ რომ ყაჩაღები დაგეცემ ოდნენ და ამოგხოცავდენო“.

საზოგადოების კომისარმა: ი ხოციბერიძემ შიმართა სიტყვებით მესხს: „როდესაც ადეიშვილი ჩვენ გვცემდა თქვენ უყურებდით და ეხლა ჩვენ ვუყუროთ სამაგიერო სეირსო“.

ასე რომ, თუმც-ღა სასოფლო სასამართლოში იყო კომისარიც და მილიციონერებიც, მაგრამ მაშინვე ცხელ კვალზე დაჭრილ მხეცს არ გასდიეს და მორჩაძე მისი ამხანაგით მიიმალა.

№

## პრესა.

**გაზეთი „მესსაჟე დ' ათენი“**

გაზეთი „მესაჟე დ' ათენი,“ რომელიც გამომხატველია საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკისა შემდეგს სწერს:

„საგარეო საქმეთა მინისტრმა დირიშიდისმა გუშინ წინ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისია. ეს პატარა სახელმწიფოა—მეტად ძველი და ამავე დროს მეტად ახალგაზრდა, რადგანაც მისი აღმოცენება ეკუთვნის ჯერ კიდევ პრომეთეს ხანას და მისი აღორძინება ეხლანდელ სახით, ჯერ ორი წელიწადიც არაა რაც მოხდა—და ამ სახელმწიფოს სურს აღადგინოს საბერძნეთთან ძველი ურთიერთობა და იმედი აქვს, რომ აქ თავის საქმისთვის სიმპატიას ჰპოვებს. მისიის შოლაპარაკებამ საგარეო საქმეთა მინისტრთან და ყველა ოფიციალურ და არა ოფიციალურ პირებთან ნება მისცეს მას ეღიარებინა, რომ ეს სიმპატიები უკვე მოპოებული აქვს ახალგაზრდა რესპუბლიკას. ბერძნის ხალხს, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძოდა და მისცა სიგნალი ემანსიპაციისა აღმოსავლეთში, არ შეუძლია ივიწყოს მეგობრობისათვის მათთან, რომლებიც იბრძოდნენ ამავე საქმისთვის. რაც შეეხება კომერციულ ურთიერთობას, ისინი არსებობენ. მხოლოდ საჭიროა, რომ ისინი განმტკიცდეს“.

შემდეგ იგონებს რა წინადროინდელ ურთიერთობას ძველ საბერძნეთსა და კოლხიდას შორის, მოკლედ აღნიშნავს რა საქართველოს ისტორიას, გაზეთი დიდი სიმპატიით ლაპარაკობს თანამედროვე საქართველოს შესახებ, მის ეხლანდელ სახელმწიფოებრივ წყობილებაზე და იმ როლის შესახებ, რომელიც გაზეთის აზრით, უნდა ითამაშოს საქართველომ კავკასიაში და ათავებს სტატიას შემდეგი სიტყვებით: „აქ არის ნიშნები და ტენდენციები, რომლებიც სერიოზულ ყურადღებას საჭიროებენ. ამ პატარა ეთნიურ ჯგუფებს, ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ეს სთქვა ომის დასაწყისში ასევიტმა, დაიჭირონ ალაგი მზის ქვეშ, როგორი უფლებაც აქვთ დიდ ხალხებს. მათ აქვთ უფლება ერთმანეთის დაუახლოვდენ, თანახმად თავის სიმპატიებისა. აძლიერებენ და იცავენ რა მათ, დიდი სახელმწიფოები აძლიერებენ თავის თავს თავს ყოველი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საიდანაც არ უნდა გამოჩნდეს ის“.

—

**„საქართველოს დელეგაცია“.**

ამ სათაურით ბერძნულ გაზეთ „ნეა ელლას“-ში მოთავსებულია წერილი საქართველოს დელეგაციაზე. მოგვყავს წერილი მთლიანად:

„გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი დიო მედისი ინახულა აქ ჩამოსულმა საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა, რომლის ჩამოსვლის მიზანიც იყო ელინთა მთავრობა და ელინთა საზოგადოებისათვის გაეცნო საქართველოს მდგომარეობა და იმუშაოს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისათვის.

ვსარგებლობთ რა ამ შემთხვევას საჭიროდა ვსთვლით ამ ქვეყნის აღორძინებაზე რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ.

საქართველო არის პატარა, მართლაც მადიდებელი ქვეყანა კავკასიაში. საუკუნეთა საუკუნეებში საქართველო განუწყვეტლივ ეომებოდა მაჰმადიანთა ურდოებს და ბიზანტიის და ტრაპიზონის დაცვის შემდგომ მისი მდგომარეობა გართულდა. ოსმალთა და სპარსთა ბრბოებით გარშემორტყმული იგი თანდათანობით სუსტდებოდა არა თანასწორ ბრძოლებში და დამონების შიშის ქვეშ მყოფნი იძულებულნი იყვნენ რუსეთისათვის ეთხოვათ დახმარება. ბოლოს 1783 წლის ხელშეკრულებით კიდეც შეუერთდნენ. ამ ხელშეკრულების ძალით საქართველოს ენიჭებოდა თვითმართველობა და ეროვნული თავისუფლება.

მაგრამ ეს ხელშეკრულება ჩქარა გაუქმდა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ძლიერის სასარგებლოდ და საქართველო გადაიქცა რუსეთის უბრალო პროვინციად. ამის შემდეგ ქართველი ხალხი სცხოვრობდა მხოლოდ მომავლის იმედით და თავისუფლების მოყვარე ერთა მხარეს შაინც მიიღო მონაწილეობა ამ ყველას დამმაზარალებელ ომში და სხვა და სხვა ბრძოლის ველებზე 200.000 საუკეთესო შვილი გაჰგზავნა რომელთა უმეტესი ნაწილი გერმანულ — ოსმალურ იმპერიალიზმთან ბრძოლაში დაიღუპა.

ამის შემდეგ მოხდა დიდი რუსეთის ტრაღედია რომელთა შედეგები სხვა დაძინებულ ხალხთა შორის საქართველოსაც მოეცხო.

უმნიშვნელოვანეს ტრაღიკულ მდგომარეობის დროს 1917 წ. რუსეთის ოქტომბრის გადატრიალების და ბრესტლიტოვსკის ხელ-შეკრულების დროს საქართველო მხოლოდ ერთად-ერთი იყო, უსუსური და მოუწყობელი რუსეთის ჯარმა საქართველოს ფრონტი მიატოვა და ოსმალთა ჯარი კი შემოსევით ეუფრებოდა. მაქსიმალიზმის მიერ შექმნილი ქაოსი მთელს ქვეყანას მოედო. მეფობის დროის პოლიტიკის შედეგი—საერთო დეზორგანიზაცია საქართველოს ხალხის ფიზიკურ არსებობის ემუქრებოდა.

ქართველმა ხალხმი გაიგო რომ არავისგან არ უნდა ელოდეს შველას და რუსეთის ჯარის თავისი ნებით წასვლის შემდეგ 1918 წ. მაისის 26-ს გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა. მძიმე შინაურ და გარეშე პირობებში მოჰკიდა ხელი ქართველმა ხალხმა სახელმწიფოს აღმშენებლობას.

ოსმალებმა ყარსი და ბათომი დაიჭირეს, ანარქია მეფობდა ქვეყნად. მთავრობამ რომელშაც აიღო ხელთ ამ საშინელების დაძლევა, შესძლო სულ მოკლე ხანში წესრიგის აღდგენა და ბტრის შემოსევის შეჩერება. მან შესძლო მოეწყო სამართალი, ადმინისტრაციი დ განევითარებინა ეკონომიური ცხოვრება. დღეს საქართველოს ჰყავს საკუთარი მუდმივი ჯარი და დაფუძნებული კრება. ჰყავს საკუთარი მთავრობა რომელიც დამფუძნებელ კრების წინაშე პასუხისმგებელია.

უმცირესობა და უმრავლესობა ერთი და იგივე უფლებებით სარგებლობს.

ამ პირობებში საქართველო იმედით უყურებს მომავალს და იმედი აქვს რომ ყველა თავისუფალი ერი მის თავისუფლებასაც მხარს დაუჭერს.

## კაპელლა

ეს სრულებით ახალი დაწყებაა და, შესაძლოა რომ ქართველი საზოგადოების ფართო წრეებმა არც კიჭიცოდენ რაშია საქმე?

გაზეთებში უკვე გაშოცხადებულია ანონსები ამ კაპელლას ძოგზაურობისა და მალე იგი ესტუმრება დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა დაბა-ქალაქებს. ამ რამოდენიმე დღის წინათ კაპელას პირველი კონცერტი იყო თბილისში და ერთსულოვანი აღტაცება გამოიწვია, რაც, უთუოდ, უფრო მეტად გაიზრდება და საქართველოში ფართო რეზონანს გამოიწვევს.

ამ მხრივ დიდი მადლობის ღირსია ამერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი, რომელიც ასაზრდოებს კაპელლას და საშუალებას აძლევს მას, რომ მოელი საქართველო გაეცნის ნამდვილ ქართულ მუსიკას,

როშელიც ჯერ კიდევ სრულებით უცნობია თვით ქართველებისათვის.

ერთის შეხედვით, თითქოს უცნაურია კიდეც:

რა შუაშია კოოპერაცია და მუსიკალური დაწყება.

მაგრამ მთელი კურიოზი დღევანდელი ჩვენი სინამდვილისა მდგომარეობს სწორედ იმაში რომ როდესაც ქართველი ხელოვნება მიატოვა ყველამ, ვისი პირდაპირი საქმე უნდა ყოფილიყო, ერთად ერთი მეცენატი საქართველოში გამოჩნდა

კოოპერატივთა კავშირი.

ეს კავშირი სცემს სამხატვრო ჟურნალს.

კავშირი აძლევს სუბსიდიას ქართულ თეატრს

კავშირი სცემს წიგნებს,

თვითვე ყიდულობს ამ წიგნებს და ეხლა ეს ახალი და მეტად მნიშვნელოვანი საქმეც—მუსიკალური კაპელლაც—მასვე დაუწყია.

ამ საქმის თაოსნობა ყოველ მხრივ მოსაწონია და ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ კავშირის გამგეობაც დარწმუნდება, თუ რა დიდ საქმეს გააკეთებს იგი ამ მუსიკალური დასის პროვინციაში გამგზავრებით.

**დ.**

## სომხეთი

**სომხეთი და ამერიკა.**

პარიზის სომეხთა დელეგაცია წარუდგა ვილსონს ამერიკაში გამგზავრების წინ და სთხოვა რათა მან არ მოაკლოს თავისი მზრუნველობა სომხებს. ვილსონმა უპასუხა, რომ იგი მუდამ მეზობლურად ეპყრობოდა სომხობას და კვლავაც არ დაიკლებს მათ თავისს ყურადღებას კარგათ.

„(ნ. აშხატავორ“).

**სომხეთის უმაღლესი კომისარი პოლკ. ჰასკელი.**

სტამბოლიდან გაზ. „ჰაიასტანი აშხატავორი“-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ საზავო კონფერენციის მიერ დანიშნული სომხეთის უმაღლესი კომისარს, პოლკ. ჰასკელს, უნდა დ ექვემდებარნენ მოკავშირეების სახმელეთო და საზღვაო ძალები.

სტამბოლის გაზეთები იუწყებიან, რომ ჰასკელი იმოქმედებს როგორც ბუთთა საბჭოს უფლება მოსილი წარმომადგენელი. სომხეთში ყველაზე უწინარეს მოჰკიდებს ხელს ეკონომიურ საკითხების, მოგვარებას და შემდეგ პოლიტიკურ საკითხებისას.

უმაღლესი კომისარი ერევანში იცხოვრებს. მას თან მიჰყვებიან სამხედრო და პოლიტიკური სპეციალისტები.

პოლკ. პასკელის პირველი საზრუნავი იქნება აგრედვე, ოსმალების მიერ გადასახლებულ სომხების თავის სამშობლოში დაბრუნება.

პოლკ. ჰასკელი რუმინეთიდან გაემგზავრა სომხეთში სადაც გაგზავნილი იყო დამშეულ მოსახლეობის საკვებ პუნქტების თვალყურის სადევნებლად.

ზავის ჩამოგდების წინ პოლკ ჰასკელი მსახურებდა ამერიკულ ჯარის მე-77 დივიზიაში.

**სომხები გერმანიას 2 მილიარდს სთხოვენ**

ზესოპოტაპიის პომეხ ლტოლვილთა დელეგატებმა, ერევ. დეგრიშიანი ოთხთა საბჭოს მიმართა მოთხოვნილებით, რომ გერმანიამ, როგორც სომხების ზოცვაში პასუხისმგებელმა, სულ ყველაზე ცოტა 2 მილიარდი ფრანკი მაინც უნდა გადაუხადოს სომხეთის აღდგენის საქმის სასარგებლოთ.

**სომხეთის მიმართვა პარიზის პოფერენციაზე**

სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლებმა პარიზის საზავო კონფერენციას თხოვნით მიმართა ინგლისის ძალები ჯერ-ჯერობით არ იქმნენ გაყვანილი ამიერ-კავკასიიდან სანამ არ გადაიჭრებოდეს მანდატორიის დანიშნის საკითხი სომხეთისათვის. („ნ. აშ.“)

## უცხოეთის ამბები
### ჟურნალ გაზეთებიდან.

**ოქროს ფასი დონის ოლქში.**

ადგილობრივ ბაზარზე ოქროს ფული გაჩნდა. რუსული ოქროს თუმნიანი ფასობს 700 მან. კერენსკის ფულად ან 2 ფუთ თეთრ პურის ფქვილად.

ვერცხლის მანეთიანი ფასობს 50—60 მანეთად.

**„მოხალიხეთა“ პარტია.**

ბახმუტში მკათათვის 20-ს შესდგა „მშრომელ“ ინტელიგენციის დამფუძნებელი კრება. კრების მიზანი იყო პოლიტიკურ პარტიის დაარსება, რომელიც მოხალისეთა ჯარის პლატფორმას დაიყრდნობა. თვით კრებამ ამ მიზნების ფორმულა შემდეგ მუხლებში გამოჰხატა.

1) აგიტაციის საშუალებით მოხალისეთა ლოზუნგების გავრცელება.

2) აქტიური წინააღმდეგობის გაწევა როდესაც ამ ლოზუნგებს გვერდს უხვევენ.

3) საზოგადოებრივ ძალთა ორგანიზაცია ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებისთვის ადგილობრივ ან დამფუძნებელ კრების დროს. კრებამ გამოსთქვა სურვილი აგრედვე რომ მოაწყოს ყველგან ბუდეები პროპაგანდისათვის.

**ნსუ ათასი მან. მოხალისეთა ჯარისთვის.**

ეკატერინოსლავის სახლის პატრონთა კავშირმა დაადგინა 600 ათასი მანეთი შესწიროს მოხალისეთა ლაშქარს.

**რუსეთი და კილიკია**

როგორც კონსტანტინოპოლის „ეოლოვ-ძაინი“ იუწყება, პარიზში მოქმედი რუსეთის პოლიტიკური კომიტეტი ენერგიულად მოითხოვს რომ კილიკია სომხეთს შეუერთდეს, როგორც ეს თვით სომეხთა ეროვნული დელეგაციის სურვილია.

**მოხალისეთა და ურალის ყაზახთა შეერთება**

როგორც მოხალისეთა შტაბი იუწყება ვოლგის მარცხენა ნაპირზე, ილტონის ტბის მიდამოში მოხალისეთა ნაწილები ურალის ყაზახებს შეუერთდნენ.

**სომხური ახალი პარტია პარიზში.**

ჯაზ. „ტაიმსი“ გადმოგვცემს შემდეგს: „სომხებმა მიიღეს მხედველობაში მომავალ სომხეთის მოთხოვნილებანი და დაარსეს ახალი პარტია, რომლის მიზანია გააერთიანონ ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციები.

**სომეხ-ექიმთა და ოფიცერთა მობილიზაცია.**

სომხეთში გამოცხადდა ყველა სომეხ ექიმისა და ოფიცრის მობილიზაცია 40 წლამდე.

**სომხეთის რკ. გზ. ექსპლოატაცია.**

სომხეთის რკინის გზათა აგება და ექსპლოატაცია შეერთებულ შტატების ხელში გადადის. ვაგონები, ორთქლმავლები და რკინი გზის მოწყობილება ამერიკიდან ჩამოვა. სომხეთის მთავრობას უფლება ეძლევა რომ ეს რკინისგზები თანდათან გამოისყიდოს.

## დეპეშები

(ხაქ. დეპეშ. სააგენტო)

**მარიამობისთვის 9-ს.**

**სამხედრო ცნობა.**

№-ის არმიის შტაბი. აგვ. 6. პსკოვის ჩრდილო და სამხრეთ აღმოსავლეთით მტერი მოვიგერიეთ. პსკოვ-ოსტროვის რკინის გზის აღმოსავლეთით ბრძოლით ავიღეთ სოფ. ტროიცკაია, საიდანაც მტერმა ჩაწესრიგოთ დაიხია და მოკლულნი და დაჭრილნი დასტოვა. მდ. ვლიკაიას დასავლეთით მტერმა ცეცხლის წამკიდებელი ყუმბარები დაგვიშინა.

**კოლჩაკის განადგურება.**

სამარა. აგვისტოს 8. ჩელიაბინსკის დაკარგვის შემდეგ კოლჩაკმა თავი მოიყარა 3 უკანასკნელ დივიზიას, მე-11, 12 და 13 და თავისი ვე ხელმძღვანელობით ჩელიაბინსკს შემოუტია. ჩელიაბინსკს სამხრეთით და ჩრდილოეთით 6 დღე მკაცრი ხელჩართული ბრძოლა იყო. მტერი გავანადგურეთ. მე-11 დივიზიიდან 5000 კაცი წამოვიყვანეთ ტყვედ, მე-1-დივიზიიდან—4000 ტყვე. კოლჩაკის არმია საბოლოოდ გავანადგურეთ. ხელთ ვიგდეთ 4000 დამტვრეული ვაგონი 100 ორთქლმავალი და დიდი ძალი იარაღი და სურსათი.

**სამხედრო ცნობა.**

დასავლეთის ფრონტი. პსკოვის რაიონში პორხოვის ჩრდილო-დასავლეთით 5 ვერსის სიშორეზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. მოლოდეჩნოს მიმართულებით მტრის ძალდატანებით ჩვენმა ჯარმა შინსკის დასავლეთ 35 ვერსის მანძილზე მდებარე ახალ პოზიციებზე დაიხია. ბორანოვიჩის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ნესვიჟის დასავლეთით 5 ვერსის მანძილზე მდებარე ახალი პოზიციებისაკენ დაიხია.

**სამხრეთის ფრონტი.** ხარკოვის რაიონში ბელგრად-სუზდალის მიმართულებით გრაივორონკა-დაქსტოვეთ გრაივორონსკის ჩრდილოეთ ვერსის მანძილზე და ობოიანის სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლაა. სადლისკის სამხრეთით 30 ვერსზე ვოროონეჟის რაიონში, 1 სოფელი ავიღეთ. ჩვენმა ჯარმა ბიღო წინადღით დატოვებული ბობროვის ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 ვერსზე მდებარე ნოვაია ჩიგლა. ჩვენმა ჯარმა რკინის გზის ხაზი დაიჭირა ნოვოსოსპიორი.

**სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი**

დუმბოსკენ ჩვენმა ჯარმა შეპელევკის დასავლეთით 50 ვერსის მანძილზე მდებარე ხაზი დაიჭირა. პროსკუროვის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით უკან დაიხია სტაროკონსტანტინოვკას ჩრდილოეთით 15 ვერსის მანძილზე მდებარე ხაზზე.

**აღმოსავლეთის ფრონტი**

მდ. ვოლგის მარჯვენა მხარეზე ცარევის რაიონში ჩორნი იარის ჩრდილოდასავლეთით 10 ვერსის მანძილზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ; წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ ოცი ტვიისმფრქვეველი. ბტრის პაეროპლანმა ჩორნში 100 ყუმბარა ჩამოაგდო. ურალსკის სამხრეთით ორმოცი ვერსის მანძილზე ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო. ორენგბურგის რაიონში ჩვენი შეტევა მარჯვედ ვითარდება, წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვეველები. ჩელიაბინსკის აღმოსავლეთით 60—70 ვერსის მანძილზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ. შადრინის რაონში ჩვენი შეტევა გრძელდება ტურინეკს სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 ვერსის მანძილზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ.

**ნაუენი.** აგვ. 8. გერმანიის ბურჟუაზიულ წრეებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოკავშირეთა გეგმამ ჰუნგრეთში უმაღლეს ძალა-უფლების ჰერცოგ-იოსებისთვის გადაცემის შესახებ. ხსენებული წრეები ამ გეგმას უყურებენ როგორც პირველი ნაბიჯის გადადგომას ახალი დუნაის ფედერაციის შესაქმნელად, რომელმაც (გამოტოვებულია). ყოფილი ჰაბსბურგთა მონარქია და მოკავშირეთა იარაღად გადაიქცეს გერმანიის დასაპყრობად.

**ჰუნგრეთის მთელი მთავრობის ბედი.**

ლიონი, აგვ. 7. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ჰუნგრეთის ყოფილ საბჭოთა მთავრობის წევრების სახელმწიფო სასამართლოს გადასცემენ.

## ზავი და გალკანეთის საკითხი

ჯერ საზავო კონფერენციას გერმანიასთან ზავის პირობების მოწესრიგება, ვერ დაესრულებინა, რომ თავი წამოჭყო ახალმა საკითხმა, ფრიად სერიოზულმა, და ძნელად გადასაჭრელმა ბალკანეთის საკითხმა, რომელიც მუდამ აწუხებდა ევროპის დიპლომატიას და რომელსაც არ შეიძლება დიდი ანგარიში არ გაუწიოს ეხლაც, როგორც კონფერენციამ, ისე მომავალ მშვიდობიანობაში, დაინტერესებულმა სახელმწიფოებმაც,—რადგან ეს საკითხი არის მიზეზი ყოველნაირ უთანხმოებისა კერძოდ როგორც ბალკანეთზე, აგრეთვე მის გარეშეც. და მართლაც, განა 1914 წ. პირველად ბალკანეთის მთებზე არ აინთო მსოფლიო ომის ცეცხლი?..

ბალკანეთის საკითხის სიძნელემ თავიდანვე იჩინა თავი, როცა კონფერენცია შეუდგა მის გადაწყვეტას. მაშინვე დაიწყო განხეთქილება და დაიბადა უთანხმოება მოკავშირეთა შორის.

დღეს თითქმის ყოველ დღე ვკითხულობ დეპეშებში ბალკანეთზე არეულობის შესახებ, რომელიც გამოწვეულია მოკავშირეთა პოლიტიკით ბალკანეთზე. ყველას მოეხენება, რომ ინგლისს და საფრანგეთს დაეინებით არ უნდათ ფრანკია დაუნარჩუნონ ბულგარეთს, ამერიკა კი, წინაღმდეგ, მომხრეა ამისა. ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის, მხოლოდ ბულგარეთი იყო მტერი მოკავშირეებისა, დანარჩენები კი: შავი მთა, სერბეთი, საბერძნეთი და რუმინეთი—მათი მომხრენი. ამის გამო მოკავშირეებს სურთ რაც შეიძლება მკაცრად მოეპყრნენ თავიანთ მტერ მტერს, ბულგარეთს და დანარჩენებს კი, ბულგარეთის დასჯით აუნაზღაუროს დანაკლისი და მეტიც კი მისცეს. ბულგარეთი ამ რიგად ბალკანეთზე ყველაზე საცოდავ სახელმწიფოდ უნდა გადაიქცეს, იმ დროს როცა დღემდე ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მისი მდებარეობა ყველაზე უკეთესი და ხელ საყრელი იყო, როგორც ეს საქართველოსთვის არის კავკასიაში.

ეხლა კი მას ჩამოართვეს დობრუჯა, ისტორიულად ბულგარეთის კუთვნილი მხარე. მაკედონია, სადაც მეტი ნილი ბულგარელები მოსახლეობენ (2 მილიონამდე), და რომელსაც ომამდე სერბეთი მფლობელობდა და ფრაკია ე. ი. ის ნაწილი, რომელიც ბულგარეთს იგეის ზღვაში გასავლად აქვს.

მაგრამ ასე ადვილიც არ არის ბრძენება და ჩამორთმევა. აქ ანგარიში უნდა გაეწიოს ხალხის ნება უფლებას და სამართლიან მოთხოვნილებას, რომ ბოლოს ისევ არ გამოჩნდეს მიზეზი ახალი სისხლის ღვრისა ბალკანეთზე. სულ 40—50 წელიწადია რაც დამოუკიდებლად არსებობენ ეს სახელმწიფონი და ამ ხნის განმავლობაში მუდმივი ჩხუბი და უთანხმობა აქვთ. ისინი ვერ რიგდებიან, ვერც ვერასდროს მორიგდებიან და ვერავითარი კონფერენცია მათ ვერ შეარიგებს. მათ შორის ისეთი ეროვნული ზიზღი არის ერთმანეთისადმი, რომ წარმოუდგენელია. ბულგარელი დედა მტირალ ბავშვს სერბიელით აშინებს. ეს სიძულვილი დიდი ხნისა და ისტორიულ პირობებზეა აღმოცენებული. ომის დროს ბულგარეთმა ისეთი უზომო ზიზღი დაიმსახურა რაგორიც სერბიელებისა ისე სხვა ბალკანეთის ხალხისა, რომ ეცდებიან ეს უკანასკნელნი ეხლავ თუ არა შემდეგში მანც გადაუხადონ ერთი ათად. არც ბულგარელებს აქვს ნაკლები მიზეზები მათდამი ზიზღისა. ვერაფერი ვერ შეაჩერებს მათ ამ შურის ძიებისგან. ბულგარელებისთვის სიკვდილის სწორი იქნება ეგეის ზღვაში გასავლის დაკარგვა, დობრუჯისა და მაკედონიის ჩამოშორება, სერბიელებისთვის—მაკედონიის არ დაბრუნება, რუმინეთისთვის—დობრუჯისა და საბერძნეთისთვის ფრაკიისა.

ომის დასაწყისში, როდესაც ბულგარეთი ებმებოდა ომში (1915 წ.), მას მიზნად ჰქონდა განეხორციელებინა თავისი სურვილი: გაერთიანებულიყო, დაებრუნებინა ყველა ის მიწები, რომელიც წართმეული ჰქონდა სხვა და სხვა დროის და რომელიც დასახლებული იყო ბულგარელებით. უნდოდა შეექმნა: „Велика България" (დიდი ბულგარეთი), როგორც ეს იყო 1197 1230 წლებში. დაიწყო ომი და მართლაც ეს სურვილი ისე აფრთოვანებდა თვითეულ ბულგარელს, რომ მალე

## ტრფოგა ნამეგული

**(ისტორიული რომანი)**

**73.**

ესმა ეს მეფეს. მრისხანებამ აიტაცა აღტყინებულმა. სდუმდა ერთს წუთს: მხოლოდ სასტიკი ბოქმედებით შესაძლო იყო კადნიერისადმი პასუხი მსწრაფელი.

ვერ აისახა მოქმედებაში გულისთქმა შეურაცხყოფილისა: ალადავარდნილ მრისხანების წინ მხოლოდ მოლოზნის სახე აიხატა, მწირად განდეგილ ვეღაც დედაკაცისა. გაახსენდა მკვეთრი სიტყვები: მეფე-ბუმბერაზი არ იკადრებს შაახოს ხმალი ქალს წინააღმდეგ; და მრისხანებას მისის გულისას დაესხა წყალი. გაიბზარა მისი მკვიდრი ნებისყოფა. გონებამაც შეუპყრო საბოქმედოდ გაწვდილი ხმალი.

— გაჰკვეთს ბასრი, გარნა თვითეულ ნაკვეთთაგან ახალახალი მებრძოლი შოგვევლინება. უკვდავია ის მისწრაფება, რომელიც ესე მედგრად ამოქმედებს დედაბერს, მით უფრო ძლიერი, რაც მეტს ძალასა ჰაბავს თავისზედ მოსულს.

დაეზვა ძალა მძაფრი ბუმბერაზისა; უძლური იქმნა იგი მისთვის შეუფერებელ ბრძოლაში. მცირედ ეშა სდუმდა, ვითარცა ძლეული: ხოლოციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლეროთა კაცთა სძლიეს, შეეურვილთა სამღთოითა შურითა მაშინ შეურვებულმან მეფემან გულისა შეეიოვებისაგან სთქვა:

— ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალი არს!

მსწრაფელ აღზდგა და წარვიდა.

იძლია მეფე, მაგრამ ვერ აუსრულდა საწადილი ვერც თებრონიას: მეტოქემ არ იკადრა პირად მასთან შებრძოლება, მონაზონს არ მიეცა შემთხვევა მოწამებრივის სიკვდილისა, არც თუ რამ წამებისა თუ ტანჯვისა, გინა შეეპირვებისა. უბრალო სახეც კი არ დაუდგა მას წინ შებრძოლი ძალისა. მოუცდა მოლოდინი: მისმა სიტყვებმა დაჭკარგეს ღირებულობა მკვეთრის განკიცხვისა; უხეშ სიტყვათა გროვას ემგგავსნენ ისინი, უბრდელი რამ ფრასებს კეთილის მყოფელ რაინდისადმი მიმართულს.

იგრძნო ეს დედაბერმა, მიეგო გონებას; თითქო შეინანა თავისი სიტყვა. ის ეხლა აყოვნებდა მეფეს, რათამცა

გერმანიის დახმარებით დაიპყრა მთელი დობრუჯა, სადაც რუსებს და რუმინელებს ებრძოდნენ, დაიპირა მთელი სერბეთი, შეეიდა და დაიბრუნა მაკედონია, რის გამოც გასული წელს დიდი ზეიმი გაიმართა როგორც დედაქალაქ სოფიაში, ისე სხვა ადგილებში. ჩამოვიდნენ მაკედონელი ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი და მოსწავლენი და მათ დადის ამბით დაჰხვდნენ ყველანი. ატარებდნენ ქალაქის ქუჩებში ყველას საჩვენებლად და ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მაკედონელნი მღეროდნენ ეროვნულ სიმღერებს. გაიმართა საღამოები და სხვა. გაზეთები ხომ სულ სავსე იყო ამის გამო წერილებით. ჩამოსულებთ скъпи гости-ს (ე. ი. ძვირფასი სტუმრები)—ეძახოდნენ და აღნიშნავდნენ, ბულგარეთი განახლების გზაზეა, ერთიანდება, რომ მაკედონელებს სურთ დაუბრუნდნენ თავის დედა სამშობლო ბულგარეთს და სხვა. დობრუჯის შესახებაც ეს ამბები იყო. დობრუჯის რამდენიმე ქალაქში დახსნეს კიდეც თავიანთი სასწავლებლები და იმედი ჰქონდათ საბოლოოდ შერჩებოდათ.

ამავე დროს კი შევიწროებული სერბიელნი და რუმინელები კბილებს უკრეჭენენ ბულგარელებს და ბოლმით ივსებოდნენ, ვერც რუმინელნი შეჭრიგებოდნენ დობრუჯის დაკარგვას ამ ყოვლად ნაყოფიერ და მდიდარი ნაწილისა, სადაც მდ. დუნაი გადაპეტმული და რომელიც ფრიად მდიდარია პურის მისაგალით.

ბერძნებმა მოლოდინს გადააჭარბეს პირველად რომ ჩაერია საბერძნეთი ამ ბოლო დროის ომში, ბულგარულ ყველა გაზეთებში მოყვანილი იყო ბერძნების წერილები ბულგარელებისადმი მოწერილი რომელიც საყურადღებო იყო როგორც მათ ურთიერთობის დამახასიათებელი საბუთები და რომელშიაც ბერძნები ბულგარელებს მხეცებად იხსენიებდნენ, ემუქრებოდნენ მთლად ამოწყვეტას: „არ დაგინდობთ თქვე „ქალამნიანებო" და სხ. ისეთი აღშფოთებულნი იყვნენ მაშინ ბულგარელნი ამ წერილებით, რომ აღარ იცოდნენ რა ექნათ და როგორ გადაეხადნათ სამაგიერო. ბულგარელნი ბოლო დროამდის მაინც მარჯვედ იყვნენ და გერმანელების გამარჯვება ისევე სწამდათ, როგორც დღის სინათლე. მაგრამ უკი

ისტუმრა იგი. არ დაჭყვა. მსწრაფელ წარვიდა. ისე გაემართა, ზედ აღარავისთვის შეუხედნია, არც თებრონიასთვის, არც მის კრებულისათვის, შავად რომ ოსდგომოდნენ წინამძღვარს უკან ჰირჯვარიც კი აღარ გადიწერა წასვლისას. მხოლოდ მიმოავლო უსიცოცხლო თვალი თავის ამალას, ითქო უაზრო შეხედვა. მოართვეს ცხენი. შესვეს, ვით უძლური, სასიკადულო იგი რაინდი, რომლის კისკასად შეჯდომას ტაჯზედ თვალს ვერ მოჰკვრიდიან, გაჰყვნენ თანაყმანი ფრიად გულწატკენნი, დაღონებულ-გაჯავრებულნი. აღარც ისინი დაემშვიდობნენ სასტიკებს, უგულოებს; ზედაც აღარ შეხედეს. აღლოთი მიეხვდარიყვნენ, გამოცდილებითაც იცოდნენ, როგორ ავნეს განდეგილებმა ვაჟკაცს, რა სევდა ჩაუსახეს მას გულში უშრეტ-ულევი. ნათლად წარმოედგინათ უთმინო გულტკივილი მისი და სრულიად უარყოფდნენ ამისთანა სისასტიკეს, თუნდაც ზნეობის დასაცავად წარმოებულს.

— ვის არა ყოლია შუქურ ვარსკვლავი, ვის არა ჰყავ დობილ-წყალი, მაგრამ ამით არ იქცევა ქვეყანა, არც ინგრევა ქრისტიანობა. რაღა ამ ვაჟკაცის ცოდვა გ ხდა საჩვენებელი. მოსპობით მოსასპობელი.

— არ გესმის! ვისაც მეტი მიჰნიჭებია, შეტიც მოეთხოვების. სანთელივით უნდა ანათებდეს ამის ზნეობაც მთელ საქართველოში, როგორც ამისი ქვეყნობა.

— კარგი, თუ ღმერთი გწამს! მეფე რომ არის, განა უბრალო შეუმცდარ-შეუცოდველი. მე ესე გამიგონია: ვისაც მეტი მიჰნიჭებია, ბევრიც შეენდობისო. ნუ თუ ამდენი შროშით თუ ღვაწლი არ დაიმსახურა უბრალო ცოდვის შენდობა?! მებრალვის რაინდი!

— მეც მებრალება, ძმობამ! დახე, როგორ ჩაკეცილა ცხენზედ, როგორ ირყევა მძიმედ დაჭრილივით.

— გულშია დაკოდილი, ისარ განა წოწი.

— ძალიან კი დაუბავს თილისშის ძეწკვით იმ ახალ დალსა, ღმერთქალს ოქროს დალალებიანს, ბუმბერაზი ჩვენი; აუცლია მისთვის ნებისყოფა, დაუდვია ულონო თავის ფერხთ ქვეშა.

— სურვილით ჩაუწვენია თავის კალ-

დურესმა ეკონომიურმა კრიზისმა ბულგარეთს ფეხთა დააშვებინა და ყოველ გვარ კომპრომისზე იძულებული გახდა. როდესლავოვის კაბინეთის დაცემამ და მალინოვის ახალმა კაბინეთმა მაინც ვერ დააკმაყოფილა ბულგარეთის ხალხი მოხდა მეორე აჯანყება ცნობილ სტამბულიისკის მეთაურობით, ჩამოგდეს ფერდინანდის მემკვიდრე მეფე ბორის მე III ე და გამოცხადეს რესპუბლიკა ამ დროს მთელი ბულგარეთის ტერიტორია ხელთ ეპყრათ მოკავშირეებს და თავიანთნებით განაგებდნენ... დამარცხებით და იმედების დაკარგვით გაბოროტებულმა ბულგარელებმა ცუდი თვალით დაიწყეს ყურება დაუპატიჟებელ სტუმართ, რამაც ამ უკანასკნელთა მხრით სასტიკობა გამოიწვია. ხალხის უკმაყოფილება გაიზარდა და იქამდის მივიდა, რომ შეიარაღებული შეტაკებანიც კი დაიწყო ბულგარელებსა და ფრანგებს შორის. ამას წინად ქ. ლომპალონკაში რომელიც მდ. დუნაიზე მდებარეობს ფრანგების დესანტის გადმოსხმის დროს ბულგარელები მათ სროლით დაჰხვდნენ. და არც სხვა ქალაქებში ჰხდება ნაკლები აჯანყებანი. ხალხის უკმაყოფილება დღითი დღე იზრდება. ფრანგებს უკვე ერთი დივიზია გაუგზავნია მათ დასამშვიდებლად. დღეს ბულგარეთი გრძნობს მთელ თავის ტრაგიკულ მდგომარეობას. იღუპება ხალხი, ქვეყანა. ერთმანეთს ყველაფერს, აუარებელ კონტრიბუციას ადებენ და აუძლურებენ სხვა ბალკანეთის სახელმწიფოთა სასარგებლოდ ამას ადვილად ვერ გადატანს ბულგარეთი, ეს გამოიწვევს მუდმივ უთანხმობას და სისხლის ღვრას ბალკანეთზე.

მაგრამ მას გაუსჩენია ერთი გულის შემატკივარი. ეს არის ამერიკა, რომელსაც სურს ფრაკია და ეგეის ზღვაში გასავალი ბულგარეთის იყოს. ამას ერთგვარი მიზეზები აქვს. ამერიკა თუმც მტრულ განწყობილებაში იყო ბულგარეთთან, მაგრამ ეს არ უშლის მას ამ უკანასკნელს მხარი დაუჭიროს. მას სხვა რამ ალაპარაკებს. ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც მაკედონიის ფრონტზე ფრანგ-ინგლისელები და ბულგარელები თავ განწირვით ებრძოდენ ერთმანეთს,—ამერიკის დიდი საკაჭრო-სამხედრო გემი მოადგა ბულგარეთის ნაპირს, ეგეის ზღვით, შეო-

თაში, ჩაუკრავს უბეში; მით სანატრელი გაუხდია ჯადოსანს ტყვეობა მისთვის.

დადამდა. უმთვარო ღამე იყო. ბნელოდა. ღრუბლით შემოსილ ცას ვარსკვლავთა სხივიც დაეხშო დედამიწისათვის. ბნელმა ჩანთქა აშოტი, წყვდიადმა გარესკნელმა უსხიომ. მის სულშიც ჩამოწოლილიყო შავი ჯავრი უნათებული. იგი სევდა მღილად ქმნილიყო მის გულში, სამარის ბიად დაუძინარად. ჰბრუნავდა მუნ, ჰხრავდა მას უყოვნებ-უსვენებლად, ჭეშვავდა მარად ცამს, ყოველ წუთს თუ წამს. უხილავი იყო ტანჯვა იგი სხვა თვალისათვის, ვით უხილავია სამარის ბილი ზე მავალთათვის. მით უფრო ძნელი იყო ვაჟკაცისათვის ტანჯვის ატანა, წამების ტვირთვა უთავბოლოს.

სასახლეში კი ჯერ ისევ ნათელი დღე უდგათ ზნეობის მცველებს, სჯულის წეს-რიგთა ფხიზელ დარაჯებს, ქრისტიანულ მცნებათა გუშაგთ ულბო-უტეხელთ. მოსპეს მათ სიძვა საგმობი, მრუშობა ეშმაკეული და ამაყობდნენ, იღიმებოდნენ. გაჰკვეთეს საკვრელი უწყვეტი, რომლით შეეკონა ალქა არაწმიდას ბუმბერაზი უებრო შეფედ ცხებული. და რა ადვილად! მხოლოდ ერთის თქმით, ერთის ბრძანებით ვინმე მწირისა.

— ჰა, ჰა, ჰა! უმძანა, საბელი შეაგა, წინასწარ იქცია; თითონ ყავარჯნით მისდევდაო, ამბობ შენ?

— ნამდვილად მოგახსენებ, დედოფალო! გაიგდო წინ, როგორც რამ ძროხა. მისდევდა ჯოხით ხელში. მიაცილა. ჩაობარა დედა თებრონიას. მიკვირდა ყველა ეს. განცვიფრებული ვიყავი. შორიახლო ავედევნე სხვა ბილიკითა.

— საკვირველია ფრიად, სასწაულია ნამდვილ! ბრძანებლობდა ქალი, თითქმის დედოფლობდა, და როგორ დაემორჩილა ისე უთქმელად ბერის ბრძანებას?!

— სულ იმას მოგახსენებდი, ეშმაკეულია შეთქი იგი ქალი. ჯადოქრობით მიიზიდა მეფე ძლიერი და მითვისა. რა წამს ჯვარი გადაჰსახა წმინდანმა, ეშმაკი განვიდა დედაკაცისაგან, და მოესპო მას ყოველივე ძალა წინააღმდეგი.

სწორედ ეგრე იქნებოდა. დიდება

ვიდა ბულგარეთის ნავთ საყუდელ დედაგიზში, მოიტანა თან ფული და წაიღო დიდძალი ბულგარული თამბაქო. რას ჰნიშნავს ეს?.. და ეს ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს, რომ ამერიკას არ უნდა ეგეის კარი დაუხშოს ბულგარეთს, რომ ჰირდაპირი კავშირი და მიმოსვლა ჰქონდეს ბულგარეთთან. შეიძლება ამერიკას სხვა რამეც ალაპარაკებდეს, მშვიდობიანობის დამყარება ბალკანეთზე, რადგან გრძნობს რომ ბულგარეთი ამ დანაკლისს ვერ შეურიგდება, რადგან ფრაკიის და ეგეის ზღვის დაკარგვა ბულგარელებისთვის მიწასთან გასწორება იქმნება. ბულგარელები თავიანთ თავს ფრაკიად უწოდებენ ძველად ასე რქმევიათ მათ, როგორც თვითონ ამბობენ.

ამ რიგად ვერაფერი ვერ გამოასწორებს ბალკანეთის მდგომარეობას. ვერაფერი ვერ შეათანხმებენ ამ ხალხს, არ იქნება საქმის ისე მოგვარება, რომ ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ბალკანეთი ომის ბუდეაო.

ერთ დროს ლაპარაკობდნენ კიდეც ბალკანეთის სახელმწიფოთა ფედერაციის შესახებ, მაგრამ არც ეს განხორციელდება, ეროვნული გრძნობანი და მისწრაფებანი ძლიერ არის გაღვივებული თვითეულ ბალკანეთის ხალხში!..

**არჩილ მაჭავარიანი.**

## პოლიტიკური დღიური

### ს. სიქთარუა

(შორაპნის მაზრა,)

აგერ ხუთი წელი გადის, რაც სიქთარუაში კოოპერატივი „ძმობის კავშირი" დაარსდა. ამ ხანში კოოპერატივს დიდი სიკეთე მოუტანია ხალხისთვის. აქ იძენდენ საუკეთესო ხარის ხის საქონელს შეღავათიან ფასებში. კოოპერატივი პირველ-ხანებში უფრო კარგად მოქმედებდა სულ ბოლოს თებათვეში აქ მოხდა წვერთა კრება. რომელზედაც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოხსენებიდან ხაზინადარს, ნესტორ კვატაიას, უნდა ჰქონოდა ნაღდათ 5392 მ. და 70 კ. ხაზინადარმა 5392 მ.-70 კ. 3000 მანეთზე უარი განაცხადა: „მე ეს ფული ნოქრიდან არ მომიღია; მხოლოდ ნოქრის წიგნზე კი შეცდომით ხელი მოვაწერეო" ხალხმა იფიქრა, შეიძლება მარლაც ხაზინადარს ნოქრიდან ეს 3000 მ.

ჯვარსა ყოვლადძლიერსა!

შუქურის წაყვანის შემდეგ მთელი ორი კვირა სრულ კმაყოფილებასა გრძნობდა სასახლე, წყნარად სიამოვნებდა ჯავრმოშორებული: დამშვიდებულ დედოფლის ბაგეზედ ღიმი კვლავ ათამაშებულიყო, შერჭმულ-შეხრილი წარბი გადაშლილიყო; მის ბრძანებლობას აჭშორებოდა მრისხანე კიცლო, ბგერა ბოროტი. აღარ იყო ეხლა დედოფალი ამღვრეულ-აზელილი, არც უკარებელი. ციხე-დარბაზი მოლადაც მოიმხიარულებდა, ნადიმს დაიდებდა სამხიარულოს, მიეცემოდა ნათელ სიამეს უხინჯ-უჩრდილოს, მაგრამ ჯერ კიდევ ეფიქრებოდათ შედეგებისა: მეფე ჯერ არ დაბრუნებულიყო ომიდან, იმან სრულებითაც არ იცოდა ეს მისთვის უსიამო ამბავი და ვერ გაეთვალისწინებინათ, რა გზას დაადგებოდა ვაჟკაცი, როგორ შეეხვდებოდა ამგვარ ცვლილებას; დაივიწყებდა ამ თვის ქინსა, თუ ბოროტდებოდა გრძნობა მოშლილი.

— ეჰ, აღარც კი გაახსენდება ბატონ მეფეს ვიღაც შუქური, ესდენ უსახო ცოდვაი თვისი. დაივიწყებს სახესაც იმ მეძავისა, თავის ქცევასაც შეუფერებელს. აწ ჩამოეცალა ვაჟკაცს ჯადო და მისი გავლენა. ადვილად შესძლებს თავს ჩაუფიქრდეს

— იქნებ კიდეც უამოს ეს ამბავი ეშმაკის საკვირველთაგან სხნილს. ვგონებ თითონვე უკვირდეს, როგორ შესძლო ველაცა ნაქვრივალმა დიაცმა ჩათხვევა მისი ცოდვათა მთხრებლში.

— სწორედ ეგრე იზამს! დაივიწყებს იმის სახელსაც, სახსენებელსაც, ანუგეშებდნენ გურანდუხტს სეფე ქალნი თუ მახლობელნი.

სჯეროდათ თითონაც თავიანთ სიტყვის სიმართლე. მათთვის კარგი იქმნებოდა, სწორედ ესე მომხდარიყო, და იმისთვისა სწამდათ ეს. დედოფალს უამებოდა ესეთი მსჯელობა, ძალიანა ჰსურდა მას ესე დამთავრებულიყო ბრძოლა; უნდოდა დაივიწყოს ნებინა თავი, რომ მძიმე სიზმარივით გაქრებოდა ეს ამბავი შეურაცხმყოფი და ულაზაზო. გულის სიღრმეში მაინც ეშვებოდა: იცოდა თავის ქმრის უტეხი ნებისყოფა, როდესაც ის ურყევად მიისწრაფებოდა თვალშეპრელ რამ თავის სურვილისაკენ; მაშინ აღარ მოიარ ქონდეს მიღებული, თუმცა ხელი კი აქვს მოწერილი ნოქრის წიგნზე. და მოსთხოვა პასუხი ნოქარს, ვარლამ ცხადაძეს. ნოქარმა ფიცით თავი იმართლა და დასძინა: „ყოველთვის, როცა ხაზინადარს ფულის მიცემდი ფასაუოდ ყოველ მიღებაზე ხელს მიწერდა". კრებამ გადაწყვიტა, გადახდეს ეს 3000 მ. ხაზინადარს და მდივანს, თითოს 1500 მ. მდივანმა თავის წილი გადა ხადა, ხაზინადარი კი ყურს არ იბერტყავს, წავიდა სამსახურში არც ფული მოაქვს და არც ბოჭკები რომელიც კოოპერატივიდან ჰქონია წაღებული. გაბრაზებული ხალხი ამ სამოდიდ დღის წინად მივიდა ნესტორ კვატაიას ოჯახში ბოჩკების წამოსაღებად. ბამაკაცები სახლში არ იყვნენ, ქალებმა კი დაიკავეს კერები, ჩადგნენ კარებში და გაიძახოდნენ: „აჰა, ვინაა ყოჩაღი, მობრძანდით და კარგ ბოჭკებს წაიღებთო. ხალხს შერცხვა ქალების წინააღმდეგობისა და გაბრუნდა უკან. აი ნამდვილი ამბავი სიქთარუისა კოოპერატივისა. ბევრი ისეთია, რომელსაც ჰსურს კოოპერატივის დასამარება და ათასგვარ ბორებს ავრცელებს მასზე. მართალი უნდა ითქვას, რომ მას, კოოპერატივს, არც ძვირად უყიდია. საქონელი და ბევრი სიკეთე მოუტანია სიქთურის მშრომელი ხალხისათვის. მაგალითად, შარშან წინ, სიმინდით დიდი დახმარება გაუწია მან სოფელს. წელს როცა შაბიამანი კერძოდ 1500 მანეთად იყიდებოდა, აქ კი 500 მან შეიძინეს გლეხებმა. დღეს ხმები დადის, ვითომც ყვარელის კოოპერატივთა კავშირი სიქთაურის კოოპერატივს „ძმობის კავშირს" საქონელს აღარ აძლევდეს რაც სასოწარკვეთილებაში აგდებს სიქთაურელებს.

**ვ. გუთნურიხპირელი.**

### წერილი ლეჩხუმიდან.

ამას წინეთ სოფელ ჩხუტელში იყო შემდეგი შემთხვევა: მოულოდნელად იარაღით თავს დაეცა მეზობელს სრულიად უდანაშაული მოხუცს ყ. ახვლედიანს, სოფელ ჩხუტელიის ორგანიზაციის წევრი ბატონი ირემია თვარაძე და იქ, რომ შემთხვევით უცხო პირები არ დასწრებოდნენ, სიცოცხლეს გამოასალმებდა.

მინდორში საქონლის ძოვნისას თურმე ამ ვაჟბატონის და ახვლედიანის

პოვებოდა მისთვის ისეთი ძალა, რომ შებორკა მისი სული მტკიცე, მისწრაფება ჰოროლის წკერივით მედგრად მიმართული. ეს აფიქრებდა დედოფალს, თუმცა არ იჩენდა იგი ამ შიშს, მთლადაც ჰმალავდა ამ ეშვს უსახოს. დაბრძნობილი სახლთხუცესი ვერ იზიარებდა ლამაზ იმედებს: ალლოთი მიხვედრილიყო, გრძნობდა კიდეც ის, რომ შეფე არ იყო შებყრობილ-მოხიბლული რაიმუ ჯადოთი, გრძნეულისაგან ნახელართ ოილისმით, და არც ქამიერი იყო იგი კავშირი, მსწრაფელწარმავალი, ვითა ჰირდილი.

— შებრალვის აშოტ! უეამოდ გამიჯნურდა შისი გული, უდროოდ შეჰხვდა ის სულის სწორს, განგებისაგან მისთვის აღნიშნულს ეტრფიალა ვაჟკაცი შუქურს მზიურის ტრფობით და ის სიყვარული საუკუნოა, დაუსრულებელი; მიჯნურობა ეს სიკვდილამდე გასატანია, იქნება მუნ თანა ლამდე გასატანიც. ვინ იცის, განქარდების სიყვარული თუნდ მაშინ, როცა მოკვდების გული საბრალო და დამიწდების...

— სიძვა არისო მეფის კავშირი, მრუშობა ბილწი. არასოდეს! ჩემს ხელშია გაზრდილი აშოტ მძლეველი, ჩემს თვალთ წინ გაიარა მისმა ჭაბუკობამ. ვიცი მაგისი ცოდვები შემთხვევითი. არა არს კაცი, რომელი სცხონდეს და არა სცოდოს. მაგრამ ეს კავშირი საკვირველია, სიყვარული მარად სუნნელოვანი, მარად მათრობელი. არა, ძნელი განცდა მოელის აშოტს, საშიში განსაცდელი მოგვეელის ყველას. რისხვა მომელის ჩემის მეფისა, მის სახლთუხუცესს, მის სიხარულის მტკიცედ ვერ დამცველს.

აკი განიცადა კიდეც სახლთხუცესმა რისხვა მეფისა. დედოფალს სრულებით არ გასცა მაშინ ხმა აშოტ ღელვილმა. როცა მეფე გაემართა მონასტერში, გურანდუხტ შეფიქრიანდა: ეგონა, თებრონია ვერ გაუმაგრდება და ვაჟკაცი გამოიტაცებს იმ მეძავსაო. არ გამართლდა დედოფლის შიში. ბუქურს ველარ გადმოელახა საკანის ზღუდე; იგი მთლად მოსპობილიყო სასახლისათვის.

**ვასილ ბარნოვი.**

(შემდეგი იქნება)

მცირე წლოვან ბავშვებს, ... უკმაყოფილება მოსვლოდათ და ამის გამო იგი იარაღით მოუხტა ახვლედიანს მოსაკლავად. მიუბედავად იმისა, რომ წესიერებას იცავდეს, როგორც ორგანიზაციის წევრი ამისთანა უსამართლობას ჩადის: ვინ რას გაიბედავს სოფ. ჩხუტელის ორგანიზაციის გავლენიან წევრს! მხოლოდ არა რუმენით, არამედ მისი პირად ანგარიშების და სარგებლობის დამცველ-მზრუნველს, როცელიც მაგის ისტორია ნათლად მოწმობს: თვითმყრობელობის დროს „სტრაჟნიკი", ბეკრთამობაში გამოცდილი, ლეჩხუმის ბოლშევიკების გამოსვლის დროს სოფლის მეთაური მხოლოდ, როდესაც განწმენდილ იქმნა მაზრა მეამბოხეებისგან, მოქალაქემ თავისუფლად სულის ამოთქმა ვერ მოასწრო კიდევ ესენი მოევლილნენ ისედაც დაბეჩავებულ ხალხს. როგორც სურთ დათარეშობენ და აწარცოლებენ ხალხის ბედ-იღბალს. ვიმედოვნებთ, რომ ლეჩხუმის ადმინისტრაცია აღაგმავს მათ საქციელს და ბოლოს მოუღებს უსამართლობას.

**კაჟი.**


## მიმოსვლა
### სახალხო მატარებლებისა
### ს. ს. რკ. გზ

**გადის თბილისიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | საღ. | 8 ს. 7 წ. |
| ბათომში | № 5 | საღ. | 5 ს. 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. — |
| ფოთიდან | № 4 | საღ | 8 ს. 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუადღ. | 12 ს. 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. 06 წ. |

**თბილისი-სალოღლი**

**გადის სალოღლში**

№ 8 საღამოს 6 ს. 5 წ.
№ 6 შუადღის 2 ს. 32 წ.
№ 4 საღამოს 9 ს. 50 წ.

**მოდის სალოღლიდან.**

№ 3 დილის 7 ს. 27 წ.
№ 5 ნაშუად. 3 ს. 5 წ.
№ 7 დილის 11 ს. 52 წ.

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.**

**გ ა დ ი ს**

№ 63 შუადღის 2 ს. 40 წ.
№ 61 დილის 7 ს. 52 წ.
№ 19,20 შუად. 3 ს. 26 წ.

**მ ო დ ი ს:**

№ 19,20 დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62 დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64 საღ. 8 ს. 4 წ.

**თბილისი-სანაინი**

**გ ა დ ი ს:**

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

**მ ო დ ი ს:**

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

**შენიშვნა** 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრის სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

**შენიშვნა 2.** მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრაებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დლეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

**საექიმო კაბინეთი**
**ექ. პ. ტყეშელაშვილისა**

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესე და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ

საათ 25—2536—1

**ბ. ბ. მიგრაგიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ბლექისა ... გულისა. იღებს ახალ რენტგენ... ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა ... ს სხივებით დიდი საღეინიოდი და ... ესევალის ... კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

**სამკურნალო კაბინეთი ექიმების**
**ალექსანდრე დავითის ძე**
**ამილიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშველება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.


სამგზავრო სამინისტროს სტამბა, ფოთის-მეიდანის ქუჩა № 3.